ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

თებერვალი
№ 2 1975 წ.

# მოწოდება მსოფლიოს ქალებისადმი!

# ყველა მათდამი, ვინც იზიარებს ქალთა საერთაშორისო წლის მიზნებს!

საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი, რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო რეგიონალური და ეროვნული ორგანიზაციების კონსულტაციურ შეხვედრაზე ჩამოყალიბდა, მიესალმება და მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციას 1975 წლის ქალთა საერთაშორისო წელიწადად გამოცხადების შესახებ და იწვევს მსოფლიო კონგრესს ბერლინში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში 1975 წლის 20-24 ოქტომბერს.

საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი მიმართავს ყველას, ვინც თვლის, რომ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმა ადამიანის უფლებათა შელახვას წარმოადგენს;

ვინც აღიარებს მამაკაცისა და ქალის თანასწორობას ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ოჯახსა და შვილების აღზრდაში;

ვინც იზიარებს აზრს, რომ საზოგადოების ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მიღწეულ იქნება ქალთა სრული და რეალური თანასწორუფლებიანობა;

ვინც თვლის, რომ მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა ძირითადი პირობაა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კაცობრიობის პროგრესი, სოციალური სამართლიანობა, დემოკრატია, ეროვნული დამოუკიდებლობა და მშვიდობა.

ხელმძღვანელობს რა ქალთა საერთაშორისო წლის მიზნებით, საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველას, აქციონ მსოფლიო კონგრესი ფორუმად, სადაც შესაძლებელი გახდება გამოითქვას სხვადასხვა შეხედულებები, ფორუმად, რომელიც ხელს შეუწყობს თანასწორუფლებიანობისათვის, განვითარებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ძალთა ერთიანობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

ერთობლივი ძალით მოვამზადოთ და ჩავატაროთ მსოფლიო კონგრესი!

დაე, კონგრესი იქცეს ქალთა საერთაშორისო წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენად!

* * *

ქალთა საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს შემადგენლობა:

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია (ქსდფ),

ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის,

იურიდიული პროფესიების ქალთა საერთაშორისო ფედერაცია,

სრულიად აფრიკის ქალთა ორგანიზაცია,

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის ქალთა ბიურო,

ქალთა კოპენჰაგენში შეხვედრის კავშირის ბიურო,

მშვიდობის მსოფლიო საბჭო,

მშვიდობის საერთაშორისო ბიურო,

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი სტუდენტთა საერთაშორისო მოძრაობა,

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია,

პროფკავშირების მსოფლიო ფედერაცია,

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო,

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია,

გდრ (ქვეყანა — მასპინძელი).

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალგეთის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა, კომკავშირელი კ ი ფ ა ი თ ნ ა ბ ი ე ვ ა.

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე**

# ალგეთის საბჭოთა მეურნეობაში

ორ სოფელს ერთმანეთისაგან ხეობა ჰყოფს. ხეობაში მდინარე ალგეთი მიედინება. როცა იგი ადიდებულია, სოფლები სრულიად წყდებიან ერთმანეთს, როცა დამშრალია, მაშინ საცალფეხო ხიდით გადადიან ადამიანები ნაპირიდან ნაპირზე. ალგეთი ამ სოფლებს ოდითგანვე ამარაგებდა სასმელი წყლით. ამიტომ მის დაშრობაზე ვერც კი იფიქრებდა აქაური კაცი.

დღეს მიწურების კვალიც აღარ არის მარნეულის რაიონში, ალგეთის პირას. ორსართულიანი, ლამაზი, ქვით ნაგები სახლები იმის დამადასტურებელია, რომ ხალხი სიღარიბეში არ ცხოვრობს და წელში გასწორდა. არც ალაზანს იყენებენ სასმელად, სოფელში წყალია გამოყვანილი. ალგეთის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა დღეს რაიონში კი არა, რესპუბლიკაში მოწინავედ ითვლება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმზე აღინიშნა ამ მეურნეობის მიღწევების შესახებ. დირექტორმა ა. გასანოვმა განაცხადა, რომ თუ მეურნეობა 1972 წელს ერთ-ერთი ჩამორჩენილი იყო საქართველოში და 566 მანეთის ზარალი ჰქონდა, ერთ წელიწადში, 1973 წელს მან 330 ათასი მანეთის მოგება მიიღო.

ეს ნახტომისებური წარმატება, რა თქმა უნდა, დიდმა შრომამ მოიტანა. შრომის სწორმა ორგანიზაციამ, შესრულების კონტროლისა და შემოწმების დანერგვამ, დისციპლინის განმტკიცებამ, დიდმა მომთხოვნელობამ და ამასთან, მუშათა მატერიალურმა წახალისებამ თავისი გააკეთა. 700 მუშის ნაცვლად 1.250 მუშა გამოვიდა სამუშაოდ.

ყველა დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს, მოსთხოვეს თავიანთ თავს შესაძლებლობის მაქსიმუმი და ერთ წელიწადში გამარჯვებულების სახელიც დაიმკვიდრეს.

ალგეთის სპეციალიზებულ მეურნეობაში წამყვანია ვიტამინიზებული ფქვილის დამზადება იონჯისაგან. 1544 ჰექტარზე თესენ იონჯას, რომელსაც სოფელ ალგეთში გამართულ აგრეგატებში ამუშავებენ და ფქვილად აქცევენ. გასულ წელს გეგმით 4 ათასი ტონა ფქვილი უნდა ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის, ჩააბარეს 4 ათას 11 ტონა. ვიტამინიზებული ფქვილი საუცხოო საკვებია საქონლისათვის და მასზე ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის განვითარება.

იონჯის გარდა მეურნეობაში მოჰყავთ თამბაქო, ბოსტნეული, მარცვლეული. ყველა ეს კულტურა გასულ წელს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს.

თავი არ შეირცხვინეს არც ფერმის მუშაკებმა, ზეგეგმითი ხორცი და რძე მისცეს ქვეყანას.

საგულისხმოა, რომ 1.250 მუშიდან მეურნეობაში 1.000-მდე ქალია. ამ მეურნეობას შეიძლება ქალთა მეურნეობაც ეწოდოს. აი, თურმე რა შეძლებიათ ქალებს!

სტიმულირების მეთოდების გამოყენება, პრემიალური სისტემის განმტკიცება დღესაც გრძელდება. მეურნეობის მესვეურებს იმედი აქვთ, რომ მისი სოფლების მცხოვრებლები მასობრივად ჩაებმებიან შრომაში, იკისრებენ უფრო გაზრდილ ვალდებულებებს და წარმატებით შეასრულებენ მათ.

დაგვაინტერესა პლენუმზე გახმაურებული მურნეობის წარმატებებმა და ალგეთელებს ვესტუმრეთ. დავრწმუნდით, რომ სახელმწიფო გეგმების შესრულებაში მეურნეობა მართლაც მოწინავეა, მაგრამ... აქ ჩვენ



მოდის თამბაქო



ნაბათი სულეიმანოვა

იონჯის დამმუშავებელი ქარხანა



ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა ნაკლოვანებებზე და მოუგვარებელ საკითხებზე ვილაპარაკოთ.

ფერმის მოწინავე მწველავი ნაბათი სულეიმანოვა, რომელიც 20 ძროხას უვლის და რომელმაც წლიური 1.640 ლიტრი რძის ნაცვლად გასული წლის 11 თვეში 2.409 ლიტრი რძე ჩამოწველა, სამუშაოდან შინ რომ დაბრუნდება, დიდ სპილენძის თუნგს გაიდებს მხარზე და კარგა მანძილზე წყლის მოსატანად წავა.

ნიშანდობლივია ამ სოფლებისათვის მხარზე თუნგგადებული ქალები. წყალზე წასვლა და წამოსვლა მათი საოჯახო საქმიანობის ერთ-ერთი მძიმე ნაწილია.

როდის იქნება, რომ მათ ეზოებში იჩუხჩუხებს სასმელი წყალი!

ან ის ლამაზი მეთამბაქოე, თამბაქოს ჩაბარებაზე რომ მანქანასთან იდგა, კომკავშირელი კიფაით ნაბიევა სად წავა, სამუშაოდან შინ რომ დაბრუნდება, რომელ ფილმს ნახავს, ან რომელ წიგნს წაიკითხავს, როცა სოფელში კლუბი არა აქვთ.

მხოლოდ ერთგან, სოფელ ალგეთშია გახსნილი კლუბი და ისიც ისეთ შეუფერებელ შენობაშია, რომ იქ შესვლა ვერავის გაუხარებს გულს.

მეურნეობის სოფლებიდან მხოლოდ ერთგანაა საბავშვო ბაღი. ეს მაშინ, როცა აქაურ ოჯახებში შვიდ ბავშვზე ნაკლები არ იზრდება. რა ქნან დედებმა, რომელთა შრომით არის მეურნეობა გამარჯვებული? ვის დაუტოონ შვილები? ბავშვები ან უმეთვალყუროდ რჩებიან ან უფროსი და-ძმების ანაბარა არიან და ამ უფროსებსაც ხშირად სკოლას აცდენინებენ.

სკოლები ყველგან აქვთ სოფლებში და მოსწავლეები ერთ-ერთ საგნად ქართულ ენას სწავლობენ. საქართველოში მათ ქართული უნდა იცოდნენ. სწორია, მაგრამ სკოლაში ბავშვს არ მიუხარია. არატიპიური, ძველი, ზოგან კი დანგრევის პირას მისული შენობა რომელ ბავშვს გაუთბობს გულს და აუნთებს სწავლის სიყვარულს? სკოლის ყველაზე კარგ შენობად აქაურებს სოფელ ალგეთისა მიაჩნიათ. არადა, მასზე უარესი რაღა უნდა იყოს!

მეურნეობის სოფლებში არა აქვთ აბანო, ფურნე. სასურსათო თუ სამრეწველო მაღაზიები უმეტესად ცუდ ბინებშია მოთავსებული.

ძველი ტრადიციის თანახმად დღესაც გრძელდება ქალებისადმი მამაკაცების ბატონკაცური დამოკიდებულება. შრომაში მასობრივად ქალები არიან ჩაბმული, კაცები კი თუ ადრე ჩაის სმაში ატარებდნენ დროს, ახლა ღვინოს ეძალებიან... აი, რატომ არიან მეურნეობაში თითქმის მხოლოდ ქალები. დროა ამ ტრადიციას ბოლო მოეღოს.

ადამიანს სულიერი კმაყოფილება და მორალური სიჯანსაღე აძლევს დიდ ენერგიას, შრომის უნარს, საქმის სიყვარულს, თავდადებას.

ამიტომ ყველაფერი ადამიანის სულიერი სტიმულირებით უნდა დავიწყოთ.

ლია კაკაბაძე

დიდი
სამამულო
ომის
დამთავრების
30-ე
წლისთავისათვის

# ზემო სვანეთში
# ქამუშელი ვარსკვლავი

ლაგვჯას დიდებული მწვერვალი ზევიდან დაჰყურებს კოშკებით დასერილ ორ სოფელს: ქამუშსა და ლახირს.

ვაჟკაცებივით დგანან ერთიმეორის პირისპირ კოშკები, თითქოს მშენებლებს ექვსასი წლის წინ გაუთვალისწინებიათ, რომ ისინი საუკუნეების შემდეგაც გამოადგებიან მემკვიდრეებს.

მენშევიკთა შეიარაღებული რაზმებიც ამ კოშკებს შემოადგნენ. ქამუშელები და ლახირელები, რომლებმაც სვანეთში ყველაზე ადრე შეიგრძნეს ახალი დროის სიოს ქროლვა, მედგრად ექვეთნენ რაზმელებს და უკუაქციეს.

1921 წლის შემოდგომაზე მენშევიკების რაზმებმა ორი მხრიდან შეუტიეს წითელ მულახს და კოშკები ცეცხლის ალში გაახვიეს.

წითელი კომუნარები იარაღს არ ყრიდნენ. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი იარაღში იყო ჩამჯდარი. მათ შორის ერთი პირმშვენიერი ქალიც იგერიებდა მოძალებულ მტერს, თუმცა ფეხმძიმედ იყო, დაიჭრა კიდეც, მაგრამ იარაღს მაინც არ თმობდა.

ამ ბრძოლის ქარცეცხლში დაიბადა ციცინო ნავერიანი. მან დედის რძესთან ერთად შეიწოვა დროის ძახილი და ყველაფერში გამბედაობას იჩენდა: სწავლაში, შრომაში, ცხენოსნობაში.

საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა. ვიდრე უმაღლესში შევიდოდა, დიდი სამამულო ომიც დაიწყო და ციცინომ ფრონტზე წასვლა ითხოვა, არ გაუშვეს, ადგილზე გვჭირდებიო და რაზმელად ჩარიცხეს. იარაღით ხელში დადიოდა ციცინო სოფელში და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ვაჟკაცებს.

მტრის თვითმფრინავები სოფელს ბომბავდნენ, ციცინომ რაზმი შეყარა, კლდის ნაპრალებში ჩაასაფრა, მოთარეშე სვავების ჩამოგდება დაავალა, თვითონ კი მეორე რაზმით ტვიბერის უღელტეხილს მიაშურა, მებრძოლებს სანოვაგე და თბილი სამოსელი ჩაუტანა.

ახალგაზრდა ციცინო ნავერიანს მთელი სოფელი ებარა. ომის წლებში დიდი მულახის სასოფლო საბჭოს თავჯდომარედ მუშაობდა და საბჭოთა ჯარების წინსვლას აქედან უწყობდა ხელს.

ხშირად ნახავდით მას გაზეთით ხელში მოხუც მახვშებთან, საინფორმაციო ბიუროს ცნობებს რომ აცნობდა.

მის ამბავსაც ხშირად ეკითხებოდნენ მოხუცები მებრძოლებს, რომლებიც ტვიბერის უღელტეხილიდან მოდიოდნენ. იარაღით ხელში ებრძოდა მტერს ქალიშვილი, რომელსაც სილამაზისათვის „ქამუშელ ვარსკვლავს“ ეძახდნენ.

ერთხელ ზამთარში გულისსწორთან მივიდა და დაუძახა. დავითმა კარი გააღო.

— მოდიხარ ტვიბერზე? — ჰკითხა ქალმა.

— როცა სატრფო გეძახის, ვაჟკაცს აბა რა გზა გაქვს? — გაიცინა დავითმა. ნახევარი საათის შემდეგ ქალ-ვაჟი დათოვლილ სასოფლო გზაზე ცხენებს მიაგელვებდნენ.

ციცინომ ჯერ სიტყვით მიმართა რაზმელებს, ყველანი აღაფრთოვანა და მერე წინ გაუძღვა.

ირგვლივ ზვავების გრიალი ისმოდა, მებრძოლები კი მთის სულებივით დაჭროდნენ, საბრძოლო დავალებას ასრულებდნენ. მტრის პარაშუტისტებს დაეძებდნენ იქ, სადაც ჯიხვებსაც კი უჭირდათ ფეხის დადგმა.

... ცაში მტრის თვითმფრინავი გამოჩნდა და კლდეზე ყუმბარები ჩამოყარა. ციცინოს რაზმელებმა დავალება შეასრულეს, დესანტის ნაშთები შეიპყრეს და ნაწილში მიიყვანეს.

ციცინოს იარაღის ტარება მანამ არ შეუწყვეტია, სანამ ჩვენმა ჯარებმა კავკასიონის მთებიდან მტერი არ განდევნეს. მაშინ ისევ ქალურად შეიმოსა „ქამუშელი ვარსკვლავი“ და გულისსწორთან იქორწინა.

... გავიდა ხანი. ციცინომ და დავითმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს და ისევ შრომის ფერხულში ჩაებნენ.

**რ. ნავერიანი**

# ჯარაჩოები და ენთუზიაზმი

ბევრჯერ ვყოფილვარ სვანეთში, დავმტკბარვარ „ათასი კოშკის მხარის“ სილამაზით, მისი ბუნებით, მაგრამ წელს აქ ყველაფერი სხვანაირად მეჩვენება, სხვა ელფერი დაჰკრავს რაიონულ ცენტრს და მთის კალთებზე შეფენილ სოფლებს. ჩემი სიხარული შეუმჩნეველი როდი დარჩა პარტიის მესტიის რაიკომის პირველ მდივანს ბორის სარალიძეს.

— ასეა ძმაო, ჟურნალისტები კანტიკუნტად დადიხართ ამ ზღაპრულ მხარეში, დროს კი თავისი გააქვს. გინდათ ახალი სვანეთის მაჯისცემა გაიგოთ? დავათვალიეროთ ჩვენი მშენებლობები, ვესაუბროთ მშენებლებს, მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს. ნახეთ რა ჯანსაღი ატმოსფერო სუფევს მთიელთა ცხოვრებაში.

აი მესტიის მეორე საშუალო სკოლის დიდებული ორსართულიანი შენობა. მისი მშენებლობა 4 თვეში დაუმთავრებიათ, ქუდზე კაცი გამოსულა სამუშაოდ. მესტიელებმა ახალ სკოლას „კლდის ვეფხვის“ სეპატივცემულოდ მიხეილ ხერგიანის სახელი უწოდეს. მიხეილ ხერგიანის სახელს ატარებს ქუჩაც, რეკონსტრუქციის შემდეგ გალამაზებული და დღის ლამპიონებით დამშვენებული.

ტურბაზა „უშბის“, კინოთეატრის, რესტორნის, პროფილაქტორიუმის, სასტუმროს და კიდევ სხვა ახალ მშენებლობებზე შრომის ენთუზიაზმია დანთებული. მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს მთებზე, ზღვის დონიდან 2.500-3.000 მეტრის სიმაღლეზე სატელევიზიო-სარელეო სადგურების მშენებლობა, მესტიელი ახალგაზრდები აგებენ ანძებს მიუვალ ცატებია მთებზე...

... მეორე დღეს სოფლებში მივიჩქაროდით. ჩემთან ერთად მგზავრობდა მესტიის რაიკომის მეორე მდივანი ოლია ნაკანი, ქალი მახვილი ჭკუის, კარგი დედა და კარგი პარტიული მუშაკი. ოლია ნაკანი 30 წელია ხელმძღვანელ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზეა. ახლაც მხნედ, მოუღლელად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. სვანები დიდად აფასებენ მის შრომას, მის მზრუნველობას, ენდობიან მას და ყოველგვარ საქმეში მიყვებიან. ოლიასაც უსაზღვროდ უყვარს მშობლიური რაიონი, მისი ადამიანები.

მესტიის ყველა სოფელი ბუნებით შემკული, ლამაზი და მიმზიდველია, მაგრამ ჟუბერი მაინც განსაკუთრებულია სუფთა, კრიალა ჰაერით, მთის ჩანჩქერებით, მარადმწვანე მცენარეებით, კაკლისა და წაბლის ასწლოვანი ხეებით. ძველი მაჩუბების (კოშკების) გვერდით ლამაზად ნაგები ორსართულიანი ოდა-სახლები ხეხილშია ჩამჯდარი.

ვათვალიერებთ ჟუბერს, მის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ვესაუბრებით მშრომელებს, ახალგაზრდებს, მოსწავლეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვეწვიეთ საშუალო სკოლას (დირექტორი ალ. ჩხვიმიანი), რომელსაც მოსწავლეთა აღზრდის კარგი ტრადიცია აქვს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 550 ახალგაზრდიდან, რომლებმაც ამ უკანასკნელ წლებში დაამთავრეს საშუალო სკოლა, უმაღლესი განათლება მიიღო 160-ზე მეტმა. ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 70-ზე მეტი სვანი. სკოლის გამარჯვების სული და გული ვენერა გვარმიანია. 25 წელია იგი ბავშვებს რუსულ ენას ასწავლის. მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეტყველების განვითარებას ბავშვებში, იყენებს თვალსაჩინოებას, თვითონ ადგენს სქემებს, სარგებლობს საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკით.

ვენერა გვარმიანი ენთუზიასტია ყველა საქმეში. სოფელში არ გაკეთდება არაფერი მნიშვნელოვანი, რომ მასში არ მიიღოს მონაწილეობა. კომუნისტი ქალი ბევრჯერ იყო არჩეული სასოფლო საბჭოს დეპუტატად, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად, მუშაობდა პროპაგანდისტად.

საინტერესო ბიოგრაფია აქვს ვენერას, 53 წლის წინათ დაიბადა მთის სოფელ ნაკრაში, გლეხის ოჯახში. ნაკრა კავკასიონის სამ მწვერვალს — კვარმაშს, ცალმაგსა და შდავლერს შორის არის მოქცეული. აქ ასვლა სვანებსაც კი უჭირთ. სამამულო ომის პერიოდში ნაკრაში ფრონტის ხაზი გადიოდა. გერმანელმა დამპყრობლებმა სპეციალურად გაწვრთნილი ,,ედელვაისის" დივიზიები ჩააბეს ბრძოლაში. ყაბარდო-ბალყარეთში დაბანაკებული ჰიტლერელები დონგუზორუნის უღელტეხილით, ნაკრის გავლით სოხუმისა და დასავლეთ საქართველოს დალაშქვრას ფიქრობდნენ.

ჰიტლერელთა სწრაფვა — გზა გაეკვლიათ შავი ზღვისაკენ, უნაყოფო აღმოჩნდა, მტერი ვერ ეღირსა საქართველოს მიწაწყლის გათელვას. ევაკუირებულნი, ფაშისტი ბარბაროსებისაგან თავდაღწეულნი სწორედ დონღუზორუნის უღელტეხილით გადმოდიოდნენ ნაკრაში და მშობლიური კერიის სითბოს აქ, სვანეთში გრძნობდნენ.

მაშინ ვენერა გვარმიანი დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მუშაობდა ნაკრაში. რამდენი ღამე გაუთენებიათ შტაბში, რომელიც სკოლის შენობაში იყო მოთავსებული. სახალხო რაზმელები ფხიზლობდნენ, რომ ვერაგ მტერს ჯაშუშები არ შემოეგზავნა და არ დაეზვერა ფრონტის ხაზი. დღისით მინდვრებში მუშაობდნენ, თესავდნენ სიმინდს, ქერს, კარტოფილს, თოხნიდნენ, ჭირნახულს ახვავებდნენ, პირუტყვს უვლიდნენ და ფრონტს სურსათ-სანოვაგეს უგზავნიდნენ.

ახსოვს ვენერას ევაკუირებულნი, შიმშილისა და სიცივისაგან ღონემიხდილნი, ჩამოკონკილი ტანსაცმლით რომ ჩამოდიოდნენ უღელტეხილიდან. ისინი მიჰყავდა მამისეულ ოჯახში, აჭმევდა, აცმევდა, ასულიერებდა. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა უდედმამო ბავშვებს, უქსოვდა წინდებს, უკერავდა ფეხსაცმელს, დაჰყავდა სკოლაში.

1946 წელს ვენერა გვარმიანი გათხოვდა ჭუბერში, მისი მეუღლე, სოსო ვიბლიანი პროფესიით მასწავლებელი იყო.

სვანეთში კოლმეურნეობები რომ ჩამოყალიბდა, ჭუბერლებმა იგი პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს. მან კარგად გაართვა თავი მინდობილ საქმეს. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა სოსო ვიბლიანის ცხოვრება, იგი 1951 წელს ტრაგიკულად დაიღუპა.

ახალგაზრდა დედას ძუძუთა ბავშვი — თამაზი დარჩა. ბავშვების კარგმა აღმზრდელმა, თავისი შვილიც შესანიშნავად აღზარდა. ახლა თამაზი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტია. მალე იგი ჰიდროელექტრომშენებლად მოევლინება სვანეთს და ჩადგება კომუნიზმის მშენებელთა რიგებში.

გ. ნოდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მწყობრში ჩადგა მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგი

# უფროსი გეოლოგი



## მან აღმოაჩინა სპილენძის მადანი

არ ეძინათ კაზრეთულას მოლიცლიცე წყლის ნაპირთან ტყეში გამართულ კარავში.

— ვერა, მოეშვი საქმეს. საცაა თავს დაგათენდება, — შეევედრა ქმარი, რომელიც სინათლის შუქმა აიძულა საწოლში მხარი ეცვალა.

— კიდევ ცოტა ხანი, იური. ესაა დავამთავრე ანალიზების შედეგების გაანგარიშება. მოსალოდნელზე მეტი დრო წამართვა ნარკვევი მასალის რუკაზე გადატანამ. ახლა ნიმუშებს ლაბორატორიაში გასაგზავნად მოვამზადებ. ღამე თუ მოკლეა, ჩემი რა ბრალია?

ვერა ალექსანდრეს ასულმა კიდევ დიდხანს იფუსფუსა; მოპოვებული ნიმუშები და კერნები, რომლებიც არც თუ ისე ცოტა იყო, აწონა, რეგისტრაციაში გაატარა, და როცა იგი — უფროსი გეოლოგი დასაძინებლად დაწვა, აღმოსავლეთს ალიონი წამოჰპარვოდა.

ცოლ-ქმარ ნაზაროვებს ბევრი ღამე გაუტეხიათ ფიქრსა და შრომაში, თუნდაც აი, მაშინ, როცა წიფლის ხის ჩრდილში თვითნაკეთებ მაგიდას უსხდნენ და მსჯელობდნენ, ანგარიშობდნენ, ასკვნიდნენ, ნაფიქრალს ერთმანეთს უზიარებდნენ, პრაქტიკით გამდიდრებულ თავისავე ცოდნას იშველიებდნენ, ახალ-ახალ ვარიანტებს ჰქმნიდნენ და ისევ ანგარიშს ულრმავდებოდნენ.

საფიქრალი და საანგარიშო კი ძალიან ბევრი იყო და მეტად სერიოზულიც. აქამდე მთელი გეოლოგიური პარტია ბარიტის ძებნაზე იყო დასაქმებული, გაჰყავდათ გვირაბები, იღებდნენ სინჯებს, აანალიზებდნენ, ღამეებს მუშაობაში ტეხდნენ. შედეგების რუკაზე გადატანას ეშურებოდნენ, ადგენდნენ მოხსენებებს, ანგარიშებს.

ცოლ-ქმარი ვერა და იური მეტად იშვიათი წყვილია. ქმარი, იური ისააკის ძე ნაზაროვი დიდი ერუდიციის ადამიანი, ძნელ საქმეებში სწრაფად გარკვევის უნარით არის დაჯილდოებული. უხვად აქვს მომადლებული გამომგონებლობის ნიჭი. ცოლი ვერა ალექსანდრეს ასული მეტისმეტად ნიჭიერი ქალი, დინჯი, გულმოდგინე, მუყაითი მშრომელი გახლავთ. მის ფხიზელ თვალსა და ნათელ გონებას წვრილმანიც კი არ გამორჩება და აი, არ გამოეპარა არც ის, რომ მადნეულის სხეული მთის მწყობრი ქანების რღვევის სამხრეთის ერთ მხარეზე უნდა ყოფილიყო.

— საქმე მოვიმატეთ. დასკვნა მივიღეთ. საჭიროა გავიგოთ, რას იტყვის ბურღი, — უთხრა ვერამ იურის.

მეორე დღესვე „რღვევის“ სამხრეთ მხარეზე ბურღის კოშკი აღიმართა. იგი ას მეთვრამეტე ნომრით შემორჩა ისტორიას. ბურღი ხანტად იძირებოდა მთის მკვრივ ქანებში. ტექნიკოსი ქალები თამარ გოზალიშვილი და ნატალია კენჭაძე ძალღონეს არ იშურებდნენ, რომ ბურღი უაღრესი სიზუსტით წარემართათ. არც ადრე გაყვანილ მაღაროებში შეიძლებოდა სამუშაოების შესუსტება. ამ საქმის გაძღოლა გეოლოგმა ნონა მაჩაბელმა ითავა, თუმცა იგი ხშირად არბოდა ხოლმე მბურღავებთან, დაჟინებით დასცქეროდა კერნებს, რომელთაც ვერა ალექსანდრეს ასული ს ანალიზოდ ამზადებდა.

ერთ დღეს ქალების მხიარულმა შეძახილმა გააყრუა იქაურობა — კერნს სპილენძის კამჩადალი ამოჰყვა. ყველანი გულისფანცქალით შესცქეროდნენ ბურღს, თავისთავად გაიბა საუბარი. მოუთმენლად ელოდნენ ყოველი მორიგი ანალიზის შედეგებს. მწველ ცნობისმოყვარეობას შეეპყრო ისინი, მექანიკოსი ქალები თ. გოზალიშვილი და ნ. კენჭაძე მორიგეობით იძინებდნენ, სიღრმეში მიმავალ ბურღს თავს დასტრიალებდნენ. გეოლოგები მაჩაბელი და თუმანიანი მაღაროებში ბარიტის ძიებაზე ჩვეულებრივი

საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ გული და გონება სპილენძის საბადოს სხეულში მიმავალი ბურღისაკენ ჰქონდათ.

უფროს გეოლოგს ვერა ალექსანდრეს ასულ ალენიკოვას ვერავინ ასწრებდა დილით ბურღთან მისვლას. იგი გვიან ღამემდე იქ რჩებოდა.

თვის ბოლოს ბურღმა სიღრმეში 95 მეტრის გავლა მოასწრო, ჩქარა ას მეტრს მიაღწია და ფუჭ ქანებში გავიდა.

სამუშაოს აღრიცხვის ჟურნალში გაჩნდა ჩანაწერი:

„ყოფილ სოფელ ბუჭურაშენთან ძირითადი ქანების როვევის ჭაბურღილით №113 ბურღმა სიღრმეში გადაკვეთა ას მეტრამდე სიმძლავრის სპილენძის შემცველი მადნეულის სხეული“.

1969 წლის 28 მარტს საბჭოთა კავშირის გეოლოგიის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით სპილენძისა და პოლიმეტალური მადნების აღმოჩენისათვის მადნეულში ვერა ალექსანდრეს ასულ ალენიკოვას მიეცა პირველი აღმომჩენის საგანგებო დიპლომი. ამ მხრივაც იგი თავისი ქმრის იური ნაზაროვის მხარდამხარ იდგა. ქმრის დიპლომი იყო ნომერი 147, ცოლისა კი — 148.

აღსანიშნავია, რომ ვერასათვის ეს აღმოჩენა არ იყო ერთადერთი. ჯერ კიდევ ინსტიტუტის ახლადკურსდამთავრებულმა ცაგერის რაიონში აღმოაჩინა 300 ათასი ტონა ბარიტის ძარღვი, რაც ამჟამად მთლიანად გამოყენებულია.

ვერა ალექსანდრეს ასულს აქვს კიდევ ერთი საბუთი, ბრძანება, რომელიც 1956 წლის 14 თებერვლით არის დათარიღებული. იქ აღნიშნულია, რომ ცოლ-ქმარმა ნაზაროვებმა არა მარტო მიაკვლიეს საბადოებს, არამედ მათ შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს საბადოს შესაძლო შესწავლის საქმეში. მათი ნამუშევარი დაამტკიცა წიაღისეულთა მარაგების შესწავლა-აღრიცხვის სრულიად საკავშირო სახელმწიფო კომისიამ, იურისა და ვერას ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს და მადლობა გამოუცხადეს.

...ბედნიერი ოჯახი აქვთ ნაზაროვებს: ქმარი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დოქტორია. ვაჟიშვილი თემური ნიჭიერი გეოლოგია, ავტორია მეტად შრომატევადი, ღრმად მეცნიერული წიგნისა „ქვემო ცარცისდროინდელი ბელემნიტები საქართველოში“, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თემური მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატია, ქალიშვილი ლია პოეტია.

ოჯახის წარმატებებში დიდია დედის როლი; იგი მზრუნველი დიასახლისიცაა, შვილების კარგი აღმზრდელიც, შესანიშნავი მეუღლეც და გეოლოგიური ძიებებითაც უხვად დატვირთული სპეციალისტი.

ვერა ალექსანდრეს ასულმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საბადოების ძიება-შესწავლას მოახმარა და როცა წლებით დაიტვირთა, შრომის ესტაფეტა ახალგაზრდობას გადაულოცა.

ი. მერაბიშვილი



# ვულოცავთ!

დიდ მეცნიერს, შესანიშნავ პედაგოგს, ბრწყინვალე მოქალაქეს და დიდბუნებოვან ადამიანს თინათინ წერეთელს, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და მრავალათასიანი მკითხველები ულოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

წარმოუდგენლად დიდი შრომა გასწია ქალბატონმა თინათინმა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. დაუფასებელია მისი ღვაწლი ქართული სისხლის სამართლებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, საერთოდ საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში. მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა და ნაშრომებმა საქვეყნოდ, მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი არა მარტო ავტორს, არამედ ქართულ სამართლებრივ მეცნიერებას.

თინათინ წერეთელი საბჭოთა კავშირში სისხლის სამართლის დარგში პირველი დოქტორი ქალია და ეს ხარისხი მას მოუპოვა მსოფლიოში აღიარებულმა მონოგრაფიამ — „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“.

თინათინ წერეთლის ნაშრომებს ახასიათებს ღრმა იურიდიული ანალიზი, ფილოსოფიური კატეგორიებისა და ფსიქოლოგიის მონაცემთა შემოქმედებითი გამოყენება. თეორიული პრობლემების კვლევას იგი ყოველთვის უკავშირებს მართლმსაჯულების პრაქტიკულ ინტერესებსა და კანონმდებლობის გაუმჯობესების ამოცანებს.

თ. წერეთელს დიდი ღვაწლი მიუძღვის იურისტთა კადრების მომზადებაში. 36 წელი კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დღეს კი წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს.

პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ წერეთელი თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ზენიტშია. მისგან ველით ახალ გამოკვლევებს, ნაშრომებს, ახალ აზრს, რითაც კიდევ უფრო გამდიდრდება საბჭოთა სამართლებრივი მეცნიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი მარტაშვილი

# აბრეშუმი

მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ჩვენი უბნის გოგო-ბიჭებს ქველაზე ბედნიერი დღე გაზაფხულზე მაშინა გვქონდა, გულყვითელა ჩიტი რომ დაგვძახებდა: „ბიჭო, ბიჭო გოგიაო, თუთა, ბალი მოწეულა, ბიჭო, ბიჭო გოგიაო“! ამას გადმოგვძახებდა და პირველი თუთა დაეცემოდა დედამიწას. ერთი მზიანი კვირაცა და ხილს მონატრებული გოგო-ბიჭები შევეფინებოდით თუთის ხის ტოტებზე და ცერისსისხო ხართუთას გემრიელად გეახლებოდით.

დალოცა ღმერთმა თუთის პირველი მომთესლებელი. მეწლეულობა მაგან არ იცის და გვალვა მაგას არ ესმის. საიდან სად მიაქვს ფესვი. მთელ ეზოს ედება. მიწასა ჰგლეჯს საკვებს და ამაყად აშრიალებს აბრეშუმის ფოთლებს.

ერთ წელიწადს, მოსავალი რომ კარზე გვედგა, მამაჩემი ქვევრსა რეცხავდა და რას ხედავს: ხართუთას ფესვი მარნისკენ გაუპარებია, ქვევრი გაუხვრეტია და პატარა სუსტი ყვითელი ძარღვი ქვევრში გამოუყვია.

— აი, შე ღმერთგამწყრალო, — გაჯავრდა მამაჩემი. სადღა იყო იმისი დრო, ვენახები გაჭრილი იყო, მამაჩემმა შემოუთხარა გვერდი ქვევრს ფესვის მხარეზე, შეაჭრა ფესვი და ქვევრი ამოხიზა.

ღონიერი ხეა, ღონიერი. ახლა ნაყოფი, ტკბილი და უწყინარი. რომელი კანფეტი შეედრება. ხოლო თუთა შენი ხელით უნდა მოწყვიტო. ზედ უნდა ახვიდე თუ წელი მოგდევს, ჩამოჯექი მოხერხებულად, მოიწოდე ყლორტი ფრთხილად და მიირთვი. აბა, ნაკაფმა იცის ცერისსისხო თუთა, აი!

დილაადრიან მე, გოგია და ლადო ერთ შოთს გადავიტეხდით, მოვაჯდებოდით ხართუთასა და მეტი საუზმე რაღა გვინდოდა. მერე დავეშვებოდით დაბლა და იარ, სკოლისაკენ!

სანამ პატარები ვიყავით მე და ჩემი და-ძმა, კუკუთელა საქანელასაც დედაჩემი ხართუთაზე ჩამოგვიბამდა ხოლმე.

თუთის ქვეშ მატიტელა ბალახი იყო მოდებული. დედაჩემი ქათამს წინა ეზოში არ აჭაჭანებდა, მატიტელა არ გაძოვონო, ხართუთასაც ლაზათი დაეკარგებაო. საღამოობით, მოცლილობისას, მეზობლებსაც დავუძახებდით. ორნი სუფრას გავშლიდით, მამაჩემი ფეხს ჯანიანად დასცემდა ტოტსა და თუთა ხრიალს მოიღებდა.

მაგრამ ჩვენი ხართუთა რა იქნება, რომ მარტო პირს გვიგემრიელებდეს. დედაჩემი დიდი მოყვარულია აბრეშუმის ჭიისა. ყოველ წელიწადს ჩვენი დიდი ოთახი იცლება ჭიისათვის და ჩვენ აივანზე გავსახლდებით ხოლმე. მამაჩემი ფურცლით ამარაგებს ჭიას, დედაჩემი დიდი ხალისით დებს მაგიდაზე პატარა მუყაოს კოლოფს: თუ ცივი ამინდია, ღუმელსაც შეუნთებს და შავი, პაწაწინა უსახო ჭიები გაიძრევიან. დღითი-დღე დაიზრდებიან, ფერს დაიწმენდავენ, გამოისახებიან. მერე დედაჩემი პატარა ლასტზე გადაიყვანს, მერე — დიდ ლასტზე, მერე იქაც აღარ დაეტევიან და მეორე ლასტსაც შეუერთებს და გაათხელებს პირველ ლასტს. ასე აავსებს ოთახს, მერე მეორე სართულს გაუკეთებს და ასე.

ჭია ჭიად იქცევა. თანდათან ხერხივით პირს უფრო ენერგიულად აატარ-ჩამოატარებს ფოთლებზე და ღეროზე დააყენებს, ისე გაროკავს, ახალი უნდა მიაშველო მაშინვე, ჭიის გაჩერება ხომ არ შეიძლება. იმან ხომ გაძღომა რა იცის, ღამეც უნდა იფხიზლო ჭიის პატრონმა, თუ გინდა რომ მალე იქცეს ჭია აბრეშუმად. არა და, ძველებურად ემსახურე ათ-თორმეტ კვირას. დედაჩემი სხვა სიკეთესთან ერთად სისუფთავის გიჟია. ჭიას ხშირად ნაძირი რომ არ გამოუცვალოს, არ მოისვენებს.

მთელი ჩვენი დიდი ბაღჩის ნაპირები თუთის ხეებითაა სავსე. ჰკაფავს და ჰკაფავს მამაჩემი, მაგრამ ამოიწურება ფონდი ოციოდე დღეში და...

ერთ დღეს მოვედი სკოლიდან და ჩვენი ეზო რაღაც განათებული მეჩვენა. რას ვხედავ? ჩვენი მხარგაშლილი ხართუთა დაუკაფიათ.

— ეს რა გიქნიათ, ჰა, — ავღრიალდი.

— მაშ ჭიას რა ვაჭამოთ, ამდენ ნაშრომზე ახლა ავიღოთ ხელი?

— ჭია-ჭუების გულისთვის? — გავცხარდი მე.

— ეს ჭუა არ გახლავს, — სიმშვიდის საზღვრებიდან არ გამოვიდა დედაჩემი. აღარა მითხრა რა, ვიცი რაც უნდა მითხრას, სხვა დროს ათასჯერ გამიგონია მისგან ძველთაგან ნათქვამი: „ჭია არა ყოველთა ეწოდების, ჭია აბრეშუმისაა, სხვათა ყოველთა ჭიათა ჭუა ეწოდების“.

— აჰა, დაუყარე, მე წყალზე მივდივარ, — მომაჩეჩა დედაჩემმა თუთაგაყრევინებული ფურცლის კონა. ლასტები მთლად გადათეთრებული იყო. ჭიები უკანა ფეხებზე იდგნენ და თავებს აქნევდნენ. გაროკილი ტოტები ავაცალე და გადავამწვანე იქაურობა. ერთ წამში შეესივნენ ჭიები.

ხვალ-ზეგ ნიშანს მოელის დედაჩემი. ჩვენი ჭიები საპარკესა სჭამენ უკვე.

— ნიშანი! — ვიღრიალე მე. „აბა, ნიშანი?“ — შემოფარფატდა დედაჩემი. პირველი ნიშანი, აბრეშუმის ძაფის პირველი გამოჩენა ზეიმი იყო ჩვენს ოჯახში. იმ დღითვე შევკარით ცახები პატარ-პატარა კონებად და ჩავამაგრეთ ლასტების ნაპირებზე. დღეს ერთმა შეწყვიტა ჭამა, ხვალ ასი შეწყვეტს, ზეგ ათასი და ჭიები გააბამენ აბრეშუმის ძალიან, ძალიან წვრილ ძაფს, ნაზსა და ნატიფს; შემოიხვევენ ზედ, დაიცლებიან აბრეშუმად და დახშულ კუბოში მოექცევიან. გაიკუნწლება ცახი აბრეშუმის პარკით. მერე დედაჩემი მისთვის საგანგებოდ მოწნულ კალათებში ჩაჰყრის პარკს და წაიღებს ჩასაბარებლად ისე გაამაყებული, რომ რაღა ქისტაურელი ოსანა და რაღა უკრაინელი ლიზა დემალჩეკი; იმათზე ნაკლები მონაგარი კი არ ექნება ხელში!

დედაჩემი რამდენიმე ცალ რჩეულ პარკს კამოდზე დადებს მოსართავად. რამდენიმე დღეში პარკი გაიხვრიტება ბუნების საოცრებით და იქიდან გამოძვრება თეთრი, დიდფრთებიანი პეპელა, ფრენისათვის კი არა: დონდლე, ძლივს რომ ინძრევა, იგი პეპელა თავის ვალს მოიხდის, გვარის გამგრძელებელს დასტოვებს, დაჰყრის ჭიის თესლსა და განისვენებს.

ისევ დადგება გაზაფხული. ისევ გაიბარჯღება ჩვენი ნაკაფი ხართუთა, ისევ აგვევსება სახლი ჭიის ლასტებით, ისევ აგვევსება კალათები აბრეშუმის პარკით, ისევ მოიტანს დედაჩემი ბლუჯა წითელ თუმნიანებს, ისევ ააფართხალებს მამაჩემი მეგრულა დედალს და გაიშლება კაი სუფრა. ღვინო შეაჭიკჭიკებს მამაჩემს და ერთხელ კიდევ დალოცავს იმ მონის ხელებს, პირველმა რომ იპოვა ტყეში, მაღალოს ტოტზე, აბრეშუმის ჭია და პარკი და მიართვა თავის დედოფალს.

...სილინგ-ჩიმ, ჩინთა დედოფალმა უყურა ჭიასა და პარკს, თითიო წიწკნა უცხო ძაფები. მერე იმ პარკმა დონდლე პეპელა რომ შვა, უფრო გაოცდა. იმ პეპლის თესლიც შეინახა ყუთში სათუთად. მერე თესლიდან...

აბრეშუმის პარკი მოხარშა, აბრეშუმად ამოახვია და ლარად გაუბა თავის საკრავს — კინს. კინმა სულ სხვა ხმით დაიმღერა საგალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზელი. სილინგ-ჩი მფარველ ანგელოზად მოევლინა ჰიას. დახვავდა პარკი სასახლეში.

— ჩემო ძვირფასო მეუღლევ, ფუ-ხი! — უთხრა ერთხელ სილინგ-ჩიმ ჩინთა ხელმწიფეს, — შენ გიყვარს ჩემი კეკლუცობა, ჩაცმა-დახურვა, ვამრავლოთ ჰია მთელს ქვეყანაში, აბრეშუმებში გავახვიოთ ჩინთ სახელმწიფო.

— ჰო, ჩინთა მზეო, მაგ აზრისაა შენი ხელმწიფეც. ხოლო ვაცხადებ, სასტიკად დავსჯი, ვინც აბრეშუმის საიდუმლოს ჩემი ქვეყნის გარეთ გაიტანს.

...მარტო ისინი აფრიალებდნენ ჭრელ-ჭრელა კაბებს, ფარჩა-ატლასებს. გავიდა წლები. ზეიმი იყო დიდებული სამეფო კარზე. მეფის ასული ცოლად მისდევდა ბუხარის ყაენს.

— ტურფა ასულო, ჩინთა ხელმწიფის, რა საამო ხარ მაგ აბრეშუმში! დიდადა ვწუხვარ, — ჩასჩურჩულა ყაენმა ლამაზს, — რომ ჩემს მეუღლეს, დედოფალს მდიდარ ბუხარისას არ გექნება ფარჩა-ატლასი.

სადედოფლო ფიქრმა წაიღო. მერე მცირე ხნით თვალს მიეფარა, თავმოსართავში ჩაიმალა თესლი ჰიისა. შეუმჩნეველი დარჩა ქცევა სადედოფლოსი. თუ ცოდვა იყო, შეუნდობდა სილინგ-ჩის სული.

მკაცრი კანონი მიავიწყდა ხალხს, ბუხარის კოხტა დედოფალი გადარჩა დასჯას.

— შენ წარმოგიდგენია, ვარო, რა დრო ყოფილა? — უთქმელი და უსიტყვო მამაჩემი ვახშამზე ალაპარაკდება, — ხალხი ტყისპირს ეტანებოდა, ვარო, შიშიანობა იყო, მერე რუსთხელმწიფეს შეევფარენით და დამშვიდდა ქვეყანა. სოფელმა გაივაკა. იცი რა გითხრა, ვარო! აი, ახლა მე ის ადგილები მენანება, გაიგე? მენანება ნასოფლარი: ბალდადივით ადგილია ბაჭიაურიდან დაწყებული აქეთ ათანაანთ მინდვრამდე, ბარამაანთ წყლიდან იქით, ბალარჯაულის გადასახედამდე. ახ, ერთი დღე მქნა, ვარო, რაიკომის მდივნად, — დედაჩემს ეცინება, — ჰო, ნუ კი იცინი, იცი, რას ვიზამდი? იმ ადგილებში სულ ფურცელს დავარგვევინებდი და შუაში, ათანაათ მინდორზე ერთ დიდ სახლს ავაშენებდი, აი, სკოლა როა, ეგეთსა. შენ გგონია, ძნელია დიდი სახლის აშენება ამოდენა სოფლისათვის. ხელოსნები სოფელში გვყავს და ქვიშა ბევრია ხევზე. მივეხვეოდით ყველანი და... რა იმდენი ფული უნდა დაიხარჯოს, რომ რაც იქ ორიოდ წელიწადში აბრეშუმის პარკი დამზადდება, ვერ აანაზღაუროს?

მე რომ რაიკომის მდივანი ვიყო? გაუშვი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ვიყო, ვიტყოდი, სოფლობაზე გზისპირებზე ფურცელი დავრგო-მეთქი. ეს ახალი ჯიში როა, ვარო, რამ სიბრტყე ფოთოლი აქვს, დედაკაცო, პურმარილი გაიშლება ზედა. მერე როგორ დამშვენდება ეს ჩვენი დიდი გზა ტოტებით რომ გადაიხურება. ვარო, იცი რა არის ჩვენი სოფელი?

აი, შენ სახლწინ რო გზა არი, საქართველოს გზაა, ორლობე ხო არ არი კაცო, მთელი მილეთის მანქანები აქეთ დაქრიან, უნდა გაალამაზო კაცო. ე ვარდები კი გაგიშენებია ღობის ძირას და მარტო ვარდის კუნწულა რას გიშველის, კაცო, ჩრდილი უნდა გზას, ჩრდილი ახლა სარგებლობა!

ვარო, იცი რა არი ჩვენი სოფელი? შენ რა იცი, კაცო, ილია ჭავჭავაძე მოდიოდა აქა, კაკო ყაჩაღი აქ არა ნახა? აქაური ამბავი არ ჩააგდო წიგნში? დასვამდა თურმე გლეხკაცებსა და აბა ერთი ძველი ლექსები მითხარით, კაცო, კარგი არაფერი დაგვეკარგოსო! — აავსებდა რვეულსა და წაიღებდა, მაშ!

აბა შენ რა გეგონა, წადი და იკითხე კარდენახის სახელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მუშაობს მეათე ხუთწლედის ანგარიშში

# დეპეშა კრემლში

ყოველ კუთხე! გააჩნია რაღაც განსაკუთრებით თავმოსაწონი. დინჯი კახელები სამართლიანად ამაყობენ საქვეყნოდ ცნობილი კახური ღვინით, ენამოსწრებული გურულები — ჩაის უხვი მოსავლით, აფხაზები — სახელგანთქმული არომატული თამბაქოთი და ციტრუსებით.

ვენახი, ჩაი, თამბაქო და ციტრუსები ჩვენს მზიურ აჭარაშიც ბევრი გვაქვს. მათ ჩვენი მკლავმოუღლელი სახელოვანი ქალები უვლიან, მოსავლის რეკორდს ამყარებენ.

მაგრამ არის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საამაყო რეკორდი, რომლითაც აჭარელი ქალები საქართველოს სხვა კუთხის ქალებთან შედარებით ყველაზე მეტად ამაყობენ. ეს გახლავთ მრავალშვილიანობის რეკორდი.

ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ, რომ აჭარაში 365 გმირი დედაა! მარტო მეცხრე ხუთწლედში 44-მა გმირმა დედამ ათი და ათზე მეტი შვილი შობა და უზრდის სამშობლოს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალის კოლმეურნეობის მეჩაიე, 13 შვილის დედა ულფეთ დუმბაძე არა მარტო გმირი დედაა, არამედ საკოლმეურნეო მინდვრების გმირიცაა.

აი როგორი შინაარსის დეპეშა გაგზავნა გმირმა დედამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე:

**„მოსკოვი, კრემლი!**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს**

**ამხანაგ ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ს**

**ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!**

**მე, ვეტერანი მეჩაიე, უდიდესი ყურადღებით გავეცანი თქვენს გამოსვლებს ყამირის ათვისების 20 წლისთავის ზეიმზე ქ. ალმა-ათაში და გმირ ქალაქ ნოვოროსიისკისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე. ცამეტი შვილის დედა, აღფრთოვანებული ვარ პირადად თქვენი ფასდაუდებელი აქტიური მოღვაწეობით მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ჩვენ, დედები მადლიერნი ვართ, რომ ჩვენი შვილები ბედნიერები არიან, რომ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მათი ნათელი და ულრუბლო მომავლისათვის იბრძვით.**

გმირი დედა მოხარული ვარ, მოგახსენოთ, რომ მეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მოვკრიფე 29,3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მათ შორის 8 ტონა — მეათე ხუთწლედის ანგარიშში, ვალდებულებას ვკისრულობ ხუთწლედის ბოლომდე კიდევ მოვკრიფო 7 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს იქნება ჩემი მხარდაჭერა ალმა-ათაში თქვენი გამოსვლისადმი და ჩემი პირადი წვლილი საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს დაუღალავ მოღვაწეობაში ჩვენი დიადი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

უ. დუმბაძე — გმირი დედა,
ჭარნალის კოლმეურნეობის მეჩაიე".

და მართლაც შვილების მოყვარულმა დედამ ყველაზე უკეთ იცის მშვიდობის ფასი, შრომის სიკეთე, მიწის ყადრი, მიწასაც ხომ შვილივით ზრუნვა სჭირდება!

ულფეთი 48 წლისაა, მაგრამ ამ ნაამაგარ, თმაშევერცხლილ, ჯანმაგარ ქალს ახალგაზრდულად უბრწყინავს თვალები. ბედნიერ დედას შვილების ბედნიერების შარავანდედი მოსავს და ძალასაც ის აძლევს. განა ხუმრობაა ცამეტი შვილის დედობა? ვინ იცის, რამდენი თეთრი, უძილო ღამის ფასად დააფრთიანა თვალხატულა გოგო-ბიჭები. ყველას ერთნაირად სჭირდებოდა სითბო და ალერსი, დედის სათუთი მოპყრობა, მაგრამ შვილებიც ვალში არ რჩებოდნენ, დედის ამაგს უანგარო სიყვარულით და პატივისცემით ანაზღაურებდნენ, უფროსები უმცროსების გაზრდაში შველოდნენ.

როცა ულფეთს შევხვდი, ცნობისმოყვარეობამ დამძლია და ვკითხე:

— გაგიჭირდათ ამდენი შვილის გამოზრდა?

კითხვაზე კითხვით მომიგო:

— თავად რამდენი გყავთ.

გავწითლდი, დასაკვეხი არაფერი მქონდა, მიმიხვდა. ფარული საყვედურით, მაგრამ ღიმილით განაგრძო:

— თვითონ განსაჯეთ! ნარგიზას, სერგოს, ნანულის, იზოლდასა და ბიძინას სკოლაში, ხოლო პატარა ლადოს საბავშვო ბაღში დილით ერთდროულად მომზადება და გასტუმრება, ამასთან, მეც ხომ მიმეჩქარება ჩემს ნამიან ჩაის ბუჩქებთან. სკოლიდან მოსულებსაც უნდა შევავლო თვალი — ხომ იცით დედის გული! დანარჩენი შვიდიდან ციალა, მერი, თამარი, ზურაბი, რეზო, ჟუჟუნა და ეთერი — ზოგი სტუდენტია, ზოგი ტრაქტორისტი, ზოგი მუშა თუ კოლმეურნე. შვილების სიყვარული ძალას მმატებს სიძნელეების გადალახვაში. ვიდრე დედას შვილები კარგად ეგულება, ის არ გატყდება, ამ ძნელ და სასიხარულო შრომაში დედა-შვილობის სიყვარულის დიდი ძალა მშველის.

ვუსმენდი ამ ქალს და სიხარულს ვერ ვფარავდი. სიცოცხლის რა უშრეტი ძალაა ამ უბრალო ქალში, რა დიდი რწმენაა, დედობის რა დიდი გრძნობა!

გული კიკნაძე



# კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ჟურნალ „საქართველოს ქალის" კოლექტივი, რედკოლეგიასა და მრავალათასიან მკითხველებთან ერთად, გულწრფელად ვულოცავთ მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მთავრობის უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით. მისი წიგნები, რომანები, მოთხრობები მარად ხიბლავდა და ხიბლავს მკითხველს შემართებით, მგზნებარებითა და მაღალმხატვრულობით. ვუსურვებთ ძვირფას იუბილარს დიდი ხნის სიცოცხლეს და ახალ-ახალ შემოქმედებით აღმავლობებს.



# ხუტა ბერულავა

ორმოცდაათი წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი ხუტა ბერულავა, რომლის შემოქმედებითი ცხოვრების გზა მუდამ დაკავშირებულია საბჭოთა საქართველოს, ახალი საქართველოს დიდ აღმავლობებთან. იგი ჩვენი ყოველი ახალი მიღწევის გულთბილი, მგზნებარე მომღერალია. საბჭოთა მთავრობამ პოეტი ხუტა ბერულავა, მისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. ჟურნალი „საქართველოს ქალი" ულოცავს პოეტს ამ მაღალ ჯილდოს, და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ ი ნ ო ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე (მეორე რიგში) ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა შორის.

# ლექციაზე შეწყვეტილი სიცოცხლე

## მოგონება

სამამულო ომის მრისხანე დღეები იყო. ფრონტის სარდლობა დაჭრილ მეომრებს წინა ხაზიდან ზურგში გზავნიდა სამკურნალოდ. დაჭრილებით სავსე იყო თბილისის ჰოსპიტალიც, სადაც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ განეკურნათ ადამიანები, სიცოცხლე შეენარჩუნებინათ მათთვის.

თბილისის ჰოსპიტალში ნევრო-ქირურგიულ ელექტრო-დიაგნოსტიკურ კაბინეტს სახელოვანი ქართველი ფიზიოლოგი ნინო მიხეილის ასული ჭიჭინაძე განაგებდა. მისმა საყურადღებო გამოკვლევებმა და დასკვნებმა ხელი შეუწყო ბევრი მებრძოლის გამოჯანმრთელებას. სწორედ ამ პერიოდში შეიმუშავეს ნინო ჭიჭინაძემ და ლევან ცქიფურიძემ კონტუზირებულ მეომართა ტკივილების შემამსუბუქებელი მეთოდი—„კაზალური ხასიათის ტკივილების ფენომენის ცენტრალური შეკავება“.

1944 წელს ნინომ ევაკოჰოსპიტლის ექიმთა კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება „კაზალური და სხვა ტკივილების შეკავების პრობლემა“. ამ სამეცნიერო მეთოდის გამოყენებით მან უდიდესი დახმარება აღმოუჩინა დაჭრილ მეომრებს.

სამამულო ომის წლებში თავდადებული და ნაყოფიერი შრომისათვის ნინო ჭიჭინაძე მთავრობის მიერ საბრძოლო მედლებით იყო დაჯილდოვებული. ქართველი ფიზიოლოგი ქალის წვლილი საბჭოთა მეომრების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. ამ დროისათვის მას განვლილი ჰქონდა სახელგანთქმული ქართველი მეცნიერის — ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიური სკოლა, რომელმაც დიდი აღიარება ჰპოვა მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში.

ბავშვობიდანვე ნინოს აღზრდა-განათლებას წარმართავდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პედაგოგ მიხეილ ჭიჭინაძის ოჯახი. ნინოს მამა მიხეილი ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელი იყო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. მის ოჯახში თავს იყრიდნენ სასიქადულო ქართველი მამულიშვილები: აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სილოვან ხუნდაძე, დავით კლდიაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი. იქ ხშირად იმართებოდა სჯა-ბაასი იმდროინდელი საქართველოს ეროვნული და სოციალური ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამან განაპირობა ნინოს დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, მისწრაფება ცოდნის შეძენისაკენ, ხალხის სამსახურის სურვილი, შრომისმოყვარეობა.

ქუთაისის „წმინდა ნინოს“ სასწავლებლის დამთავრებისთანავე მან მუშაობა დაიწყო რაჭის სოფელ ბუგეულში და ეკონომიურად ეხმარებოდა ოჯახს, სადაც მისი ათი და-ძმა იზრდებოდა.

ბუგეულში ნინო, როგორც დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, დღისით ახალგაზრდებს ამეცადინებდა, საღამოობით კი ხანშიშესულებს ასწავლიდა წერა-კითხვას. მან დიდი სიყვარული მოიპოვა ამ მთიან სოფელში. ერთი წლის შემდეგ, როცა ხარკოვში გაემგზავრა სასწავლებლად, სოფლელებმა იგი გულისტკივილით გააცილეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1916 წელს ნინო შეუდგა სწავლას ხარკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, მაგრამ მალე რევოლუციის ქარიშხალმა იგი საქართველოში დააბრუნა. თბილისის „წმინდა ნინოს“ ქალთა სასწავლებელში წლების მანძილზე ნინო გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა, 1929 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი დაამთავრა და, როგორც ნიჭიერმა სპეციალისტმა, ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით ფიზიოლოგიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა.

მაშინ უნივერსიტეტს სათავეში ედგა დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. ლექციების ციკლს მასთან ერთად კითხულობდნენ გამოჩენილი ადამიანები: პეტრე მელიქიშვილი, ანდრია რაზმაძე, გრიგოლ წერეთელი, გრიგოლ ნათაძე, ივანე ბერიტაშვილი, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო მუსხელიშვილი და სხვანი. ქართველ ფიზიოლოგთა სკოლა, რომელიც ივანე ბერიტაშვილმა ჩამოაყალიბა, ძალას იკრებდა.

ამ კათედრაზე ნინომ 40 წელი იმუშავა. პარალელურად მოღვაწეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტებში. მისი მზრუნველობით და ხელშეწყობით მრავალმა ახალგაზრდამ გაიკაფა გზა მეცნიერებისაკენ.

ნინო ჰიჭინაძე ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფიზიოლოგთა სხდომებისა და ყრილობების მუშაობაში ჩვენი დედასამშობლოს სხვადასხვა ქალაქებში — მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, კრასნოდარში, ერევანში. ამ ქალაქების სამეცნიერო აუდიტორიები მოწმეა იმ დიდი წარმატებისა, ნინოს სამეცნიერო მოხსენებებს რომ ხვდომია წილად. ნინოს სამეცნიერო შრომები ყურადღებას იქცევდა საკითხის ახლებურად დასმით, მეცნიერული სიღრმითა და აქტუალობით. ეს არცაა გასაკვირი — ბევრი შრომა მან ხომ თავისი განუყრელი მასწავლებლის — აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის თანაავტორობით შეასრულა, ესენია: „ქათმის ტვინის რეაქციები ფერების გამღიზიანებლებით“, „მხედველობითი ცენტრის ლოკალიზაციის საკითხისათვის“ და „ბაყაყის ინდივიდუალური ქცევის განვითარების საკითხისათვის“. ცნობილ ფიზიოლოგ ლევან ცქიფურიძესთან ერთად კი მან შექმნა სამეცნიერო ნაშრომები ისეთ პრობლემატიკურ საკითხებზე, როგორიცაა: „ქრონაქსიის ნეგატური ხასიათი ადამიანის კუნთოვანი სისტემის დეგენერაციის ადრეულ სტადიაში“. ნინოს მრავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო შრომებიდან სპეციალისტების ყურადღებას იქცევს დიდი მეცნიერული ალღოთი დაწერილი გამოკვლევები: „ცენტრალური შეკავების ხანგრძლივობა“, „მხედველობითი გაღიზიანების როლი მტრედის ინდივიდუალურ ქცევაში“, „ლაბირინთის დარღვევის გავლენა ფრინველებში პირობითი-კვებით მამოძრავებელ რეფლექსზე“, „მხედველობის გამოთიშვის შედეგად ორიენტაციის საკითხისათვის“ და „გადავადებული რეაქციების მეთოდით ცხოველებში მეხსიერების საკითხის შესწავლისათვის“.

1947 წელს ნინომ ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მხედველობითი გაღიზიანებით გამოწვეული ცენტრალური პროცესების ლოკალიზაციის შესახებ“ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა. შემდეგ ეს თემა მოხსენებად გაიტანა კათედრის ღია სხდომაზე, წაიკითხა უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციებზე, ფიზიოლოგთა საზოგადოების სხდომებზე და ფიზიოლოგთა ყრილობებზე საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

1969 წელს ნ. ჰიჭინაძემ ივანე ბერიტაშვილთან ერთად დაამუშავა და გადაჭრა საკითხი, რომელიც ადასტურებს, რომ „ქათმებს გააჩნიათ როგორც პირობითი რეფლექსები, ასევე ხატისმიერი მეხსიერება და ერთი-ორი წუთის განმავლობაში ისინი აღქმულ ობიექტს იმახსოვრებენ“. — ეს ნამუშევარი აისახა ფირზე, გაკეთდა კინოსურათად და გაიგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. კინოსურათი აჩვენეს მსოფლიოს ფიზიოლოგთა ყრილობაზე.

ნინოს მიმზიდველი და მომხიბვლელი ლექციები დაუვიწყარია მისი სტუდენტებისათვის. მისი ხმის ტემბრის ხავერდოვნება, მჭერმეტყველება და არტისტიზმი მუდამ იპყრობდა აუდიტორიას. ნინო, სათნო ბუნების ადამიანი, გამოცდების დროს მკაცრი და დიდი მომთხოვნი იყო. თუ დაინახავდა, რომ სტუდენტს ცოდნა ჰქონდა, მასალას ჭარბად ეკითხებოდა და კარგ შეფასებასაც აძლევდა. უცოდინარ სტუდენტებს კი ორ–სამ კითხვაზე შეიცნობდა, მეორე დღისათვის დაიბარებდა, საკითხებში გაარკვევდა და მეცადინეობის სისტემაზე მიუთითებდა.

დიდ გულისხმიერებას იჩენდა ნინო ახალბედა ასპირანტების მიმართ, ზრუნავდა მათზე, თითოეულ მათგანს განუსაზღვრელი დროით უჯდა და გზას უკაფავდა, ამზადებდა მეცნიერული პრობლემების შეცნობისათვის, იგი მოუწოდებდა ახალგაზრდობას დაეუფლებოდნენ დიდი რუსი ხალხისა და დასავლეთ ევროპულ ენებს.

ნინო ყოველთვის აღფრთოვანებით ეგებებოდა დისერტანტის გამოჩენას, მისი რეცენზენტი იქნებოდა თუ ოპონენტი, ჩვეული მომთხოვნელობითა და სიმკაცრით განიხილავდა ნაშრომში აღძრულ საკითხებს.

1973 წელს ნინომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრას წარუდგინა უკანასკნელი ნაშრომი — „ახალქერქმოცილებულ კურდღლებში პირობითი რეფლექსებისა და მეხსიერების შესწავლა“, შემდეგ ლექციაზე შევიდა და როცა მთელი არსებით უხსნიდა სტუდენტებს ახალ საკითხებს, მოულოდნელად გარდაიცვალა.

ეთერ ვარძელი

# ქალი გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში

გოეთეს სამყაროში ქალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ქალი მისი დიდი ცხოვრებისა და შემოქმედების შემაერთებელი ხიდია, მიწიერსა და ზეციურს შორის ცისარტყელასავით გადადებული. კაცმა თითქმის 83 წელი იცოცხლა და ამ შვიდფეროვან ხიდზე ერთხელაც არ შებრკოლებულა.

მაინის ფრანკფურტელი „სამეფო მრჩევლის“ ნებიერ შვილს თავიდანვე ბედი ულიმოდა. სვებედნიერ ოლიმპიელს დედაც ღირსეული ჰყავდა. ვოლფგანგის გულში მისი სიყვარული არასოდეს არ განელებულა. დედამ მხიარული ზნე და შეთხზვის ხალისი მიანდერძაო, ამბობს პოეტი...

დაე, ყოველ წამს შენც გენიშნოს, თუ
ვაჟი შენი
პატივს რარიგ გცემს და გაფასებს,
ძვირფასო დედავ!

გოეთეს ადრეულ მიჯნურთა შორის უნდა გამოვყოთ ის, ვინც მის შემოქმედებაში სასიკეთო კვალი დატოვა.

1771 წელს 22 წლის ვოლფგანგმა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სწავლა შტრასბურგში განაგრძო. აქ უდიდესი გერმანელის გონება შებოჭა შტრასბურგის ტაძარმა, მისი გული კი — მშვენიერმა ფრედერიკე ბრიონმა, ზესენჰაიმელი მოძღვრის ასულმა. ამ ცქრიალა ქალიშვილმა შთააგონა პოეტს „სამაისო სიმღერა“, „ფრედერიკე“... მასვე უძღვნა „დამშვიდობება“:

მივდიოდი, შენ კი მიწას დასცქეროდი
ძირსა,
ცრემლიან თვალს მაყოლებდი,
დაღვრემილი ერთობ.
მაინც ბედი, რომ გამხადე სიყვარულის
ღირსად!
და რა ბედნიერებაა სიყვარული,
ღმერთო!

მომდევნო წელს, გოეთე, ვეცლარში, იურიდიულ პრაქტიკას გადიოდა, როცა გაიცნო შარლოტე ბუფი. ამ ქალმა უდიდესი როლი შეასრულა გოეთეს ცხოვრებაში. საკმარისია ითქვას, რომ იხაა ლოტეს პროტოტიპი ცნობილ წიგნში: „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“.

ჰანოვერელი შარლოტე ბუფი, საელჩოს მდივნის კესტნერის მეუღლე, ოთხი წლით უმცროსი იყო გოეთეზე და ოთხი წლით ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა





მხატვარ
ელენე მეგრელიშვილის
ნამუშევრები





ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ელიკოსეული"



ქართულმა საბჭოთა მხატვრულმა კერამიკამ დღეისათვის თვალსაჩინო განვითარებას მიაღწია. გამოყენებითი ხელოვნების ეს მეტად სიცოცხლისუნარიანი დარგი, სწორედ საბჭოთა საქართველოს პირობებში მრავალნაირად გამოიკვეთა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრის სასწავლო-ექსპერიმენტული სახელოსნოს მხატვარ-ტექნოლოგის — ელენე მეგრელიშვილის დაუღალავი მოღვაწეობაც საბჭოთა კერამიკის სათავეებთან იწყება. 1937 წელს იგი იმ ხუთ ახალგაზრდა კერამიკოსთა შორის იყო, რომელთაც პირველად რესპუბლიკაში მიენიჭათ მხატვარ-კერამიკოსის საპატიო წოდება. ამავე წლიდან იგი ტექნოლოგიაში მრავალ რთულ ჭიქურს ნერგავს.

აღდგენითი ჭიქურის თემამ, ამ უაღრესად საინტერესო და რთულმა თემამ, მთავარი ადგილი დაიკავა მის შემოქმედებაში. რამდენი სიყვარული, ინტერესი და ნებისყოფა იყო საჭირო, რომ მხატვარ ქალს ეს რთული ტექნოლოგიური პროცესი მასობრივი საქარხნო წარმოებისათვის მიესადაგებინა. პრესა აღნიშნავდა, რომ „ამ სპეციალისტმა არაერთი რთული ამოცანა გადაწყვიტა: შექმნა სამშენებლო დანიშნულების რამდენიმე სახის მასალა, და, რაც არსებითია, საგრძნობლად შეამცირა მათი თვითღირებულება". თბილისის 1500 წლის საიუბილეო თარიღისათვის, 1956 წელს, ელენე მეგრელიშვილის უშუალო მონაწილეობითა და თაოსნობით დაინერგა ღრმაღელის ფილების ქარხანაში მრავალსერიული თიხის ლამაზი სუვენირები, რომელთა ზედაპირი „ელიკოსეული" აღდგენითი ჭიქურით არის მოხატული. იგი ერთ-ერთი პირველი მხატვარი-კერამიკოსია, რომელმაც წარმატებით დანერგა საქარხნო წარმოებაში მანამდე უნიკალური კერამიკული ნაწარმის ნიმუშების ჩამოსხმა საქარხნო ტექნიკით, შეუთავსა მათი ტექნოლოგიური პროცესი საქართველოს პირობებს, შეიმუშავა და აუწყო მასობრივ წარმოებას აღდგენითი ჭიქურების გამოწვის რეჟიმი. იგი გამუდმებით უკირკიტებს და ცდის ჭიქურებს, უამრავი ცდა აქვს ჩატარებული. მისი ბინის ყოველი კუთხე-კუნჭული თიხის მოჭიქული პატარ-პატარა ნაჭრებითაა სავსე. მისთვის ეს მთელი ცხოვრების განვლილი გზაა თითქოს, აფერადებული, მოჭიქული... და ამ გზის მოხავალი მისი კერამიკული ხელწერით გამორჩეული მრავალი ნაკეთობანია.

ელენე მეგრელიშვილის ნამუშევრებში იგრძნობა ზომიერების გრძნობა და კეთილშობილი სისადავე. აქ ვერ ნახავთ დაწვრილმანებულ, უცაბედად თვალში მოსახვედრ, საგანგებოდ აზიზილპიპილებულ მოსართავს; იგი დინჯად, დაფიქრებით მუშაობს ამა თუ იმ კერამიკულ ნიმუშზე, დიდხანს ეძიებს ფორმისა და დეკორის შესატყვისს. მისი ნამუშევრების მხატვრული ღირებულება ერთიორად ძლიერდება იმით, რომ კერამიკოსი ქალი თვით არის ავტორიცა და ტექნოლოგიც, ე. ი. შემდგენელი იმ შესანიშნავი ჭიქურებისა, რომლითაც მოხატულია მისი ნაკეთობანი. ე. მეგრელიშვილის ადრეული ნამუშევარი კომპლექტი — „ღვინის ჭიქური ჭურჭელი ორშიმოთი" მუდმივი ექსპონატია მოსკოვის აღმოსავლეთ ქვეყნების ხელოვნების მუზეუმში. სიმშვიდითა და მონუმენტურობითაა სავსე ეს კომპლექტი; 1969 წელს ელენემ შეასრულა ქართული სუფრის კომპლექტი: საღვინე დოქი, ხილის ჯამი, კულა და ფიალა. ეს კომპლექტი შვეციის გამოფენაზე იყო ექსპონირებული. ჭურჭლეულის თიხის ნაცრისფერი ზედაპირი ზომიერი, თავშეკავებული ორნამენტითაა მოხატული. ხილის ჯამისა და ფიალის შუაგულები ჭიქურის ფერადოვანი ლაქებით — შვიდფოთლიანი ელვარე ყვავილებითაა დაფარული; ერთის შეხედვით თითქოს ძუნწად, მაგრამ დიდი აქცენტით. აგერ ფორმის სიმკვრივითა და მოკლე პროპორციებით გამორჩეული დოქი „საამო", ანდა დეკორატიული, მშრალი ჭიქურით დაფარული საყვავილე ვაზა, სადაც მეორე ფენად კრიალა ჭიქურის ლაქებია ათამაშებული. ანდა სუვენირები: „ბზრიალა" და „ფოთოლა" — ოქროსფერ-ვერცხლისფერ ჭიქურთა შეპირისპირებით!

ქართული ხალხური სამომხმარებლო ჭურჭლის ტრადიციებზეა აგებული ლუდის ტოლჩა 2 ჭიქით; მოხდენილია დეკორატიული ვაზა ლურჯი, სადაფისფრად მოელვარე ჭიქურით, რომელშიც ნაცარა, მშრალი ჭიქური ლაქები ფიფქივითაა გაბნეული და ავტორმაც ამ ჭიქურს „ფიფქია ჭიქური" შეარქვა.

ე. მეგრელიშვილს ეკუთვნის აგრეთვე თბილ-ოქროსფერ გამაში გადაწყვეტილი საღვინე ჭინჭილების მთელი წყება, ჭიქურის თანდაყოლილი დეკორატიული ძარღვებით.

კერამიკოსმა ქალმა შექმნა ფერადი თიხებით ე. წ. წერნაქის ტექნიკით მოხატული თეფშების ციკლი ქართული ხალხური სათამაშოების თემებზე. აქ იგი უშუალობით, იუმორით ადგენს კომპოზიციებს. ფერთა გამა, როგორც ყოველთვის, თავშეკავებულია. ე. მეგრელიშვილის მიერ შესრულებული ე. წ. მშრალი ჭიქურებით და რელიეფური „ფიფქი" ჭიქურებით მოხატული კერამიკა არაერთ საერთაშორისო გამოფენაზე იყო ექსპონირებული.

კერამიკოსი ქალის დამსახურება ჯილდოებითა და სიგელებით აღინიშნა. მაგრამ მარტოოდენ ზემოთქმულით არ შემოიფარგლება ე. მეგრელიშვილის მოღვაწეობა. ჯერ კიდევ მრავალი ფიქრი და ოცნება აქვს განსახორციელებელი კერამიკოს-ტექნოლოგს მხატვრულ თუ არქიტექტურულ კერამიკაში.

მას უყვარს და ესმის კერამიკა. მრავალ მხატვრულ საშუალებას შეუსხამს ფრთა მის ხელოვნებაში ქართული მხატვრული კერამიკის სასიკეთოდ და სასახელოდ.

ალდე კაკაბაძე

# მეორედ დაბადება

ანტონინა გავრილოვა

სიძნელეებითა და ძიებებით აღსავსე დიდი და რთული გზა განვლო მხატვარმა ქალმა ანტონინა ვლადიმერის ასულმა გავრილოვამ. მაგრამ მან ბოლომდე შეინარჩუნა ქვეყნიერების ნათელი, ოპტიმისტური ხილვის უნარი, შესძლო თავის ნაწარმოებებში გადმოეცა სიცოცხლის განუმეორებელი სილამაზე, ყვავილების სურნელება, ქალური სილამაზის მომხიბვლელობა, ტილოზე აღებექდა საქართველოს მდიდარი ბუნება და არქიტექტურა. მის ნამუშევრებში ჩანს მხატვრის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, მხატვრისა, რომელიც აღიზარდა რუსული და საზღვარგარეთული ხელოვნების უკეთეს ტრადიციებზე, რომელმაც გაიარა რეალისტური მხატვრობის შესანიშნავი სკოლა.

ანტონინა გავრილოვა დაიბადა თარხანში, ახლოს ქ. ლერმონტოვოსთან, სადაც განისვენებდა სახელგანთქმული რუსი პოეტი მ. ლერმონტოვი და სადაც ყველაფერი გაჯერებული იყო მისი უკვდავი პოეზიის სურნელით. ჯერ კიდევ პატარა, მოლბერტს რომ გაშლიდა, გულში დიდი პოეტის ლექსებს იმეორებდა და შორეულ საქართველოზე ოცნებობდა.

„მე მინდა დავხატო თერგი, დარიალის ხეობა... მე ვიცი, რომ ისინი შორსაა ჩემგან, მაგრამ როცა გავიზრდები, უთუოდ წავალ და ყველაფერს საკუთარი თვალით ვნახავ", — წერდა გოგონა თავის დღიურში. ეს ოცნება მხოლოდ დიდი სამამულო ომის შემდეგ აუხდა მას, უკვე აღიარებულ მხატვარს.

1963 წელს თბილისში, მხატვართა კლუბში გაიხსნა ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვარი ქალების ნამუშევრები, მათ შორის ა. გავრილოვას ტილოებიც, რომლებმაც მნახველთა ყურადღება მიიპყრო. მისი შემოქმედებით დაინტერესდა ცნობილი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი. შემდეგ მან მხატვარი ქალის სახელოსნოც მოინახულა. და აი, 1967 წელს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საგამოფენო დარბაზში მოეწყო ანტონინა გავრილოვას შემოქმედების პერსონალური გამოფენა, რამაც მრავალი მნახველი მიიზიდა. ქართულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა რუსი მხატვარი ქალის შემოქმედებას.

საქართველო იქცა გავრილოვას მეორე სამშობლოდ, მისი შთაგონების წყაროდ. მხატვარს უყვარს ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ფერთა სიკაშკაშით. მას იზიდავს ადამიანები თავისთავადობითა და განუმეორებლობით, განსაკუთრებით იმ წუთებში, როცა საკუთარ ფიქრებში ჩაფლულნი, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევენ; პეიზაჟის ნაკვეთი, მზით გაბრწყინებული ან საღამოს ბინდში გახვეული არქიტექტურული ძეგლი, შემთხვევით მიკვლეული ნატურმორტი... იგი მზად არის ყველაფერი ეს ასახოს თავის შემოქმედებაში და ამით სიხარული განაცდევინოს ადამიანებს, რადგან მისი ყურადღების ცენტრში ყოველთვის მაინც ადამიანია და ყველაფერი ის, რამაც შეიძლება მისი ცხოვრება გაალამაზოს, დღესასწაულად აქციოს.

აი, მსუყე მუქწითელ ფონზე ოდნავ შესამჩნევი თეთრი შტრიხებით გამოსახული ზღაპრული ჯადოქარი, რომელიც ცხოვრების საგანძურიდან რაღაც საიდუმლოსა და მშვენიერს იღებს და გულუხვად თავაზობს ადამიანებს. — ასეთი წარმოგვიდგინა ჩვენ ა. გავრილოვამ სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

ულალთმიანი, ამაყი, ლამაზი ქალი დაკვირვებით შეჰყურებს მის წინ გადაშლილ სამყაროს. იგი ცხოვრებისაგან თითქოს რაღაც უჩვეულოსა და ბრწყინვალეს მოელის. — ეს ავტოპორტრეტია, შექმნილი მხატვრის მიერ ჯერ კიდევ ყმაწვილქალობაში. სახის საოცარ ჰარმონიულობას ჰქმნის მუსიკალურ-რიტმული გადასვლები ღიანარინჯისფერის (კოფთა), ულალის (თმა) და ღიამწვანესი (თვალები).

შინაგანი ძალით აღსავსე ჭაღარა ქალი ღრმად ჩაფიქრებულა. ეშმაკური და გამომცდელია მისი გამოხედვა. ნარინჯისფერ-იასამნისფერი გამა პორტრეტისა აძლიერებს რაღაცნაირი შინაგანი დატვირთულობისა და აზრის დაუოკებელი მოძრაობის შეგრძნებას. ეს მხატვარი ქალის მეორე ავტოპორტრეტია, 1972 წელს შესრულებული. მის გვერდით ვხედავთ გულუბრყვილო და ნაზ „ნასტენკას". იგი გაუბედავად, კრძალვით შესცქერის უსაზღვრო სამყაროს. პორტრეტიდან აშუქებს სინათლე, მასში ჩქეფს ახალგაზრდობის განსაკუთრებული მომხიბვლელობა.

ისევ პორტრეტი — ომგადახდილი სამედიცინო და, ჯარისკაცის პირქუში ქვრივი. მას შინ მიაქვს ბრძოლაში დაცემული მეუღლის სისხლიანი ფარაჯა. სახის შინაგან დაძაბულობას აძლიერებს მაგრად მოკუმული ტუჩები, ნახევრადდახუჭული თვალები, ლამაზი, ტრაგიკულად მკაცრი სახე ქართველი ქალისა და მძაფრი გადასვლები ფერებისა: ლია ყვითელის, წითელის, ლურჯის, ლია მწვანისა. ჯარისკაცის ქვრივის პორტრეტის მძაფრი დინამიურობის კონტრასტულია ბრძნული სიმშვიდე, თავისთავის მტკიცე რწმენა ხანშიშესული, ცხოვრებაში ბევრის მნახველი და ნაშრომი ქართველი მეჩაიე ქალისა, რომელიც თავდადებული შრომისათვის ლენინის ორდენით დაუჯილდოებიათ. ის ჭკვიანი, ოდნავ მოღლილი თვალებით შემოგვყურებს მხატვრის ფუნჯით შექმნილი პორტრეტიდან.

ანტონინა გავრილოვა ბევრს მოგზაურობს, და სადაც არ უნდა იყოს, ყოველთვის გადააქვს ტილოზე ნახული და შემჩნეული: ადამიანები, რომლებმაც მხატვრის ყურადღება მიიპყრეს უჩვეულო პოზით, მეტყველი სახით; მატარებლის სარკმლიდან წამიერად დანახული პეიზაჟები, სადგურის ბაქანზე შემთხვევით მოხვედრილი ცხოველები... ასე შექმნა მან ნახატების სერია: „თბილისის ვაგზალზე", „მოხუცი აზერბაიჯანელი ქალი", „მატარებლის მომლოდინე ქართველი", „კიოსკის გამყიდველი", უცაბედად დაჭერილი, ზოგჯერ ოდნავ გაშარჟებულიც, მაგრამ გამომსახველობის დიდი ძალის მქონე ხასიათები.

საინტერესოა სპორტული თემისადმი მიძღვნილი ჩანახატები: „დარტყმა მარცხენა ხელით" (ბოქსი), „მწვავე მომენტი" (ფეხბურთი), სადაც მხატვარმა გადმოსცა გადამწყვეტი შეჯახების დაძაბულობა, პოზის დინამიურობა, ბრძოლით აღგზნებული სახეები.

სპორტის ტემპერამენტულ-ექსპრესიულ გამოსახულებას ცვლის ისევ კონტრასტული გადასვლა ნაზ ლირიკულზე, სიმშვიდის მომგვრელია „მზის ჩასვლა": მიწყნარებული ბუნება, სოსანისფერი ცა, ნარინჯისფერი მზე, შორს მდინარის ზოლი, წინა პლანზე, კი მოგზაურის, მკვლევარის ფიგურა. ამ ნამუშევარში შესანიშნავად არის გადმოცემული ადამიანისა და ბუნების ჰარმონია.

საქართველოს უძველესი არქიტექტურა განუყოფლად არის დაკავშირებული საქართველოს ბუნების სიდიადესთან. ეს სინთეზი კარგად ასახა მხატვარმა თავის ქმნილებაში — „ჯვარი". იგი შესრულებულია ნარინჯისფერი ხავერდის ქაღალდზე ბელილას მკვეთრი შტრიხებით.

ვიწრო ქუჩა, რომელიც აღმა მიემართება, სახლები მოჩუქურთმებული აივნებით, დაუსრულებელი კიბეები, რომლებიც დაღმა მტკვრისაკენ ეშვებიან, — ასე გადმოსცა ა. გავრილოვამ ძველი თბილისი. საქართველოს დიდი სიყვარული ჩანს მის ყველა ნამუშევარში: პეიზაჟებშიც და პორტრეტულ ჩანახატებშიც, ბრწყინვალე, ხან მკვრივ და ხან გამჭვირვალე ნატურმორტებშიც.

რუსმა მხატვარმა ქალმა ახლებურად დავვანახა სამყარო მთელი მისი მრავალფეროვნებით.

ლიდია ზლატკევიჩი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მხატვარ ანტონინა გავრილოვას ნამუშევრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

რე გარდაიცვალა. თომას მანმა ამ ქალს უძღვნა განთქმული რომანი „ლოტე ვაიმარში“.

კიდევ ერთი წელი და გოეთეს გულის მესაიდუმლე ხდება ფრანკფურტელი ვაჭრის ბრენტანოს ახალგაზრდა მეუღლე, რომელმაც სხვა მიჯნურები დაჩრდილა. ეს „ანგელოზი“ გოეთეს ადრეც უყვარდა, გათხოვების შემდეგ კი მაქსე ბრენტანო, იგივე ლაროში, კარგა ხნით იქცევა ქალთა კერპის მორიგ მუზად.

გადის დრო და გოეთეს ცხოვრებაში იჭრება ლილი შონემანის სახე. ამ ქალმა გოეთეს აჩვენა სიყვარულის მთელი სიამეც და ფუქსავატობის მთელი სიმწარეც. ლილი არ იყო ისეთი ქალი, რომელიც შესძლებდა იმ პატივის დაფასებას, რასაც ნიშნავდა გენიოსთან მეგობრობა. გოეთემაც მისი ჟინიანობა და საეჭვო ქცევა უკვდავჰყო დიდ ლექსში „ლილის პარკი“.

ჩემს ლილის რომ სამხეცე აქვს, აი
სანახავი!
მეორე არ მეგულება მისი მსგავსი
არსად.
საკვირველი ნადირები ეხვევიან გარსა,
არც მან იცის, რანაირად მოუყარა
თავი...

ეს მხეცები, გოეთეს მეტოქეები, გაბღენძილი ფილისტერები, ოფიცრები, თავადები, თავიანთი რევერანსებით ხიბლავენ ლილის. მათ შორის ერთი „ტლანქი დათვიცაა“ — ეს გოეთეა. ლილი მას ათამაშებს, მოეფერება, მერე კი კარსაც უჩვენებს ხოლმე... გამართლებას პოულობს მეორე ლექსში თქმული აზრი:

შენ რომ ასე არ მიყვარდე, ჩემო ლილი,
მაპოვნინებს სადმე შვებას ბედისწერა?

ეს სიყვარული უხილავი ძაფით აკავშირებს ლილისთან. არაერთხელ უბრუნდება თავის ჭირვეულ სატრფოს. თავნება ქალი ხან მთაშია, ხან სანთელთა ზღვაში ზის და ქაღალდებს შლის. პოეტი კი ქედს უხრის:

პოეტს ჯადოსნური ძალით იზიდავს სატრფო. გავიხსენოთ ლექსი „ახალი გაზაფხული, ახალი სიცოცხლე“:

და ამ ერთი ჯადოსნური, ნაზი ძაფით,
რაიც ალბათ არ გაწყდება არასოდეს,
სუსტი სატრფო სულ იოლად, განა
ჯაფით,
ძალით მიჭერს ხელში, თითქოს
თამაშობდეს.
სიყვარულო, რა დიდია ჯადო შენი!
შემიბრალე და ჯვარიდან ჩამომხსენი.

ჯვარიდან ჩამოსახსნელად ვაიმარელ ბრძენს მუზებმა მაინც სხვა მოუვლინეს — წყნარი და უწყინარი, უბირი და მორჩილი მეოჯახე ქრისტიანე ვულპიუსი. ამ მეყვავილე ქალმა უდიდესი როლი ითამაშა გოეთეს ცხოვრებაში. 1788 წელს იწყება 39 წლის პოეტის ახლო ურთიერთობა ქრისტიანესთან და 18 წლის შემდეგ ხდება მათი ოფიციალური დაქორწინება, ბევრი ჭორიკნობისა და მითქმა-მოთქმის შემდეგ, როცა უკვე ვაჟკაცი შვილი ჰყავთ. ქრისტიანე 16 წლით უმცროსია გოეთეზე.

სამიჯნურო თავგადასავალი კი გრძელდებოდა.

ვაიმარელი შტალმაისტერის ფრაიჰერ ფონ შტაინის მეუღლე, შარლოტე ფონ შტაინი გოეთემ ვაიმარში ყოფნის პირველსავე წელს გაიცნო. ამ ქალმაც განუზომელი ზეგავლენა მოახდინა გოეთეს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მრავალი ლექსის გარდა მან შთააგონა „იფიგენია“ და სხვა ქმნილებანი. მათი რომანიც გახმიანდა და 1786 წელს პოეტი ვაიმარელ მეშჩანთა და უტვინო მოხელეთა შემხუთავ ატმოსფეროს იტალიაში გაექცა.

შარლოტე ფონ შტაინს უძღვნა პოეტმა „ღამეული ფიქრები“:

გოეთესათვის სიყვარული სინონიმია მისწრაფებისა. ყოველი ახალი სიყვარული — ახალი დღე და გაზაფხულია, რაც ახალ რამეს ქმნის, — ქმნის მისი წყალობით. სიყვარული კი არ აძინებს, აღვიძებს პოეტს; ბიბლიური წინასწარმეტყველივით დგას ქნარით ხელში და მღერის:

თოვლსა და წვიმაში,
ქარსა და ყინვაში,
უფსკრულთა ღვარებში,
დანისლულ მხარეში,
მარად წინ! არა წამს
სიმშვიდე არა მწამს!

გოეთეს მეგობარ ქალთა შორის არიან ლამაზი, მაგრამ ფუქსავატი ქალებიც და გამოჩენილი, ნიჭიერი მანდილოსნებიც.

ერთი პირველთაგანია ბეტინა ბრენტანო, მწერალი ქალი, მწერალ ახიმ არნიმის ცოლი, ჩაგრულ ხალხთა ქომაგი. მან გამოსცა „გოეთეს მიწერ-მოწერა“, რომელშიც საგრძნობი პოეტური თავისუფლება მისცა თავს და, შესაძლოა შეთხზა ცნობილი ანეგდოტი იმის შესახებ, თუ როგორ მოწიწებით დაუთმო გზა გოეთემ ბაღში მოსეირნე მეფეს, ბეთჰოვენი კი ჯიქურ შეიჭრა ამალაში, გაარღვია და სეირნობა განაგრძო.

გოეთეს ცხოვრების წიგნი არ იქნება სრული, თუ არ ვახსენეთ კორონა შრეტერი — ნიჭითა და სილამაზით გამორჩეული ქალი, მხატვარი, მსახიობი, მომღერალი, კომპოზიტორი. 1776 წელს, 27 წლის გოეთემ, 25 წლის შრეტერი ვაიმარის კარის თეატრში მიიწვია. თვითონ ორესტეს როლს ასრულებდა თავის პიესაში, კორონას კი იფიგენიას როლი მისცა. ასე ჰარმონიულად წარიმართა მათი მეგობრობა ხელოვნებაში, სცენაზე თუ პირად ცხოვრებაში. კორონა თავის ავტოპორტრეტში თამამი მზერით შესცქერის თავის საყვარელ გენიას.

1808 წელს, ვაიმარში, გოეთე შინაურ კაცად ითვლებოდა დიდებული მანდილოსნის — იოანა შოპენჰაუერის სალონში. „ქ-ნ შოპენჰაუერთან ყოფნა ერთნაირად სასიამოვნოა ხუთშაბათობითა და კვირაობით“, — სწერდა გოეთე მეგობარს.

1814 წელს სამოც წელს გადაცილებული გოეთე უმეგობრდება ფრანკფურტელ ბანკირის ვილემერის ლამაზ მეუღლეს მარიანა ფონ ვილემერს. გოეთე ხშირად დადიოდა ამ კეთილ და განათლებულ, ნამდვილ პოეტურ ოჯახში და სიკვდილის დღემდე შეინარჩუნა მარიანასადმი პატივისცემის გრძნობა. ეს ქალი პოეტიც იყო, გოეთესაც უძღვნა ლექსები, მისი ქმარიც მწერლობდა. მარიანა ვილემერი, რომლის ქალწულობის გვარიც იუნგი იყო, ზულეიკას პროტოტიპად იქცა „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“, რაც მის ზეგავლენაზე მეტყველებს. გოეთე დიდ ანგარიშს უწევდა ვილემერს:

შენ მოგალხენდა სიმღერა ჩემი,
რომ გადაევლო მანძილი შორი,
ვმღერი მთელი დღე პატივისცემით,
მესმის: ჯობს უკეთ! — ეს არის
სწორი!

ჩანს, მარიანამ მარტო მლიქვნელური ქება კი არ იცოდა, თვითონ გოეთეს უკიჟინებდა: უკეთ წერეო! ასეთ ქალთან მეგობრობას ყოველი პოეტი ისურვებდა.

1822 წელს, მარიენბადში, 73 წლის გოეთეს, ჭაბუკური ხალისით შეუყვარდა 18 წლის ულრიკე ფონ ლევეტსოვი (ლევენცოვი). დედამისს ადრევე იცნობდა, ახალმა შეხვედრამ მხოლოდააფეთქა მიძინებული გრძნობა. სამკურნალოდ ჩასულ პოეტს ბედმა იმ სახლში არგუნა ყოფნა, სადაც დედაშვილი ცხოვრობდა. სამწუხაროდ, ეს იყო მხოლოდ პოეტური სასწაული: სამყაროშემოვლილმა კვერთხმა ფოთლები გამოიღო, ცნობისმოყვარე ხალხს საჭორაო მასალა მიეცა: გოეთე ქრისტიანეს უნდა გაეყაროს, ულრიკე შეირთოსო, მაგრამ უკვე მეტისმეტად გვიან იყო. მეგობრებმა თავშეკავება ურჩიეს და გენიის უკანასკნელმა სასიყვარულო აფეთქებამ მხოლოდ „მარიენბადის ელეგია“ შექმნა. თვით გოეთეს შეეხო დროთა მპყრობელი სიბერის დათოვლილი ხელი, ულრიკემ კი თითქოს მისი უკვდავების ნაწილი მიიტაცა, — 95 წლისა გარდაიცვალა 1899 წელს.

გოეთეს სხვა მეგობარი ქალებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მშვენიერი მინა ჰერცლიბი და ანჟელიკა კაუფმანი. ეს უკანასკნელი ცნობილი მხატვარი იყო, მოღვაწეობდა იტალიაში, ლონდონში, გერმანიაში, გარდაიცვალა რომში 1804 წელს. გოეთეზე რვა წლით უფროსი იყო. „ორფევსის და ევრიდიკეს“ გარდა მისი სურათებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა გოეთეს პორტრეტი. ეს ქალი მეგობრობდა ვინკელმანთან და გოეთესთან. მისი მშვენიერი ავტოპორტრეტი, რომელშიც ვესტალკის რიდე ჩამოუფარებია და გრაციოზული მარჯვენა ხელი გულთან დაუსვენებია, საუცხოოდ გამოხატავს ამ ქალის პიროვნულ მომხიბლაობას.

გოეთე და ქალები — ამოუწურავი თემაა. ამ თემას მარად დაუბრუნდება ყველა, ვისაც აინტერესებს გენიისა და მშვენიერების კავშირი.

აკაკი გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. პანტელეევი



მხატვარი დ. ერისთავი

# დოლორესი

მოთხრობა

მთელი თვის მანძილზე დღეგამოშვებით ვხედავდი ამ გოგონას. ეს ამბავი ომის დაწყებისას მოხდა. ალბათ, ამიტომაც ვერ გავეცანი, თორემ სულ უბრალოდ შემეძლო, ქუჩა გადამეჭრა და გავცნობოდი.

ეს ერთ-ერთი იმ ახირებათაგანი გახლდათ, რომლისგანაც მე და ჩემი მსგავსნი, მხოლოდ და მხოლოდ ომმა განგვკურნა. თვალყურს ვადევნებდი გოგონას და ვერც კი შევნიშნე ისე, თანდათან და შეუმჩნევლად შევთხზე მისი ბიოგრაფია, მას არამც თუ ხასიათი გამოვუკვეთე, არამედ სახელი და გვარიც გამოვუგონე. ასე მეგონა, გვარს სულ უბრალო, რუსულს — ივანოვასა ან პეტროვას ატარებდა, სახელს კი, უეჭველად, ესპანურს — ტერსიტას, მარიანასა ან დოლორესს. მისი ნამდვილი სახელი ჩემთვის დღემდე უცნობია. მასაც შორიდან — ჩემი ოთახის ფანჯრიდან ვხედავდი; ხანდახან დღეში რამდენჯერმე, ხან კი მხოლოდ ერთხელ; ასეც ხდებოდა — ზოგჯერ ერთხელაც არ გამოჩნდებოდა, ესეც ქალაქში განგაშის გამოცხადებაზე იყო დამოკიდებული.

აგვისტოს გრილი დღეა, ფანჯრის მიღმა ქუჩა, ლენინგრადის ერთ-ერთი დიდი მაგისტრალი მოჩანს. ამ ქუჩას სწორედ ჩემი ფანჯრის პირდაპირ შესახვევი ებჯინება. კუთხეში, სადაც ოდესღაც ლუდხანა იყო, ახლა ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბია. შესასვლელი კუთხიდანაა. არავითარი წარწერა თუ მაჩვენებელი, რამდენიმე ქვის საფეხური და, სულ ახლახან, საპირველმაისოდ შეღებილი უბრალო კარი...

ქუჩის მყუდროებას არაფერი არღვევს. მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანი თუ მოგვაგონებს, რომ სადღაც შორს, ათას კილომეტრს იქით ომია გაჩაღებული.

აი, სადარბაზოსთან მერხზე კეთილსახიერი დედაბერი მიმჯდარა. თავზე ძველი ყაიდის არშიის თავსაფარი წაუკრავს და რაღაცას ქსოვს. მარცხენა მკლავზე წითელი შემოსაკრავი გადაუჭერია, ხოლო გვერდზე აირწინაღიანი ჩანთა ჩამოუკიდია.

წითელჯვრებიანმა ავტობუსმა, ფრთხილად, თითქოს თითის წვერებზე ჩაიარა.

წითელარმიელებმა, რომლებსაც ზაფხულის განმავლობაში გიმნასტურები გადახუნებოდათ, აეროსტატის უზარმაზარი ჩონჩხი, რაღაც საოცარ. სპილოსავით ნელნელა და ზარ-ზეიმით ჩამოატარეს.

კუთხეში რაღაც მხიარულს, ხალისიანსა და უზრუნველს გამღერის რადიო.

უცებ ეს უზრუნველი სიმღერა შეწყდა. რეპროდუქტორში რაღაცამ გაიხრიალა, წუთიერი პაუზა... და სირენის გულსაკლავმა ველურმა ხმამ გააყრუა იქაურობა. მექანიკურმა ხმამ გამოაცხადა:

— ყურადღება! ყურადღება!

და ვერ მოასწრო მექანიკურმა კაცუნამ თავისი სათქმელის დამთავრება, სათქმელისა, რომელსაც ყოველ ცისმარე იმეორებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩა გადასხვაფერდა. ტრამვაი-ავტომობილებმა მოძრაობა შეწყვიტეს. შესახვევში, ფიცრულ ღობესთან, ძველი პეტერბურგის ალვის ხეს თავი შეაფარა ჯიქის ტყავივით ხალებიანმა პაწაწკინტელა პიკაპმა. საიდანღაც, მოულოდნელად გამოჩნდნენ მკლავზე წითელშემოსაკრავიანი დედაკაცები. თავსაფრიანი დედაბერი აფუსფუსდა, ფაცხაფუცხით დაკეცა დაუმთავრებელი წინდა; მის შესაცვლელად ახალგაზრდები მოსულიყვნენ.

წუთიც და ქუჩა დაცარიელდა, თითქოს ჩაკვდა და გაირინდა. უკანასკნელი გამვლელი რომ გაუჩინარდება სადარბაზოსა და ჭიშკრის თაღქვეშ, სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე ქუჩაში ეს გოგონა.

მარბენალი კი არასოდეს არ მინახავს. უბრალოდ დადის, სწრაფად, მსუბუქად და ფართო სპორტული ნაბიჯებით — ოდნავ წინ წამოუწევია მოხდენილი და ჯერ კიდევ ბავშვური ტანი.

ნეტავი რამდენი წლისაა?

თოთხმეტის, ცამეტის, ან იქნებ უფრო ნაკლების?

ქერათმიანია და ალბათ, ცისფერი თვალებიც აქვს, სახე კუშტი, სერიოზული, ასე გასინჯეთ გაჯავრებულიც კი. თმები მრგვალად შეუჭრია, თავშიშველაა. ნაქსოვი კოფთა დაჰპატარავებია. წინდები ალპინისტივით შიშველ მუხლებს ქვემოთ რეზინებში ჩაუხვევია.

ეს გოგონა მეკავშირეა. რაიონული შტაბისა და საჰაერო მეთვალყურეობისა და კავშირმაუწყებლობის სამსახურის უკანასკნელ ცნობებს დაატარებს. ამის მიხვედრა არც თუ ისე ძნელია, მითუმეტეს ერთსა და იმავე საქმეზე რომ ხედავ ყოველთვის.

არცერთი დაკარგული წამი. ზუსტი და გამოზომილია მისი ყოველი ნაბიჯი. ქუჩის შესახვევთან გოგონა ჩანთას, აი ისეთ ჩანთას, დეპეშებს რომ დაატარებენ, ხსნის. კიბეებზე კი არ არბის, მიფრინავს და ჩანთიდან პაკეტი ამოაქვს. შტაბში მიიმალება, ათიოდე წამში ისევ კიბეებზე გამოჩნდება, გზად ჩანთას ხურავს და ისეთივე თანაბარი და მსუბუქი სპორტული ნაბიჯებით სწრაფად გადადის მოსახვევში საწინააღმდეგო მიმართულებით.

თუ განგაშმა დიდხანს გასტანა, გოგონა ჩანთით რამოდენიმეჯერ ჩაიქროლებს ჩემს ფანჯრებთან.

საზენიტო ქვემეხების გრუხუნს თან ერთვის გარეუბნებიდან ფუგასური ყუმბარების გამაყრუებელი აფეთქების ხმა. გოგონა თითქოს ვერ ამჩნევს ამას. რაღაც დაღლილობას თუ იგრძნობ მის მიხრა-მოხრაში, იმაში, თუ გზადაგზა გაოფლილი შუბლიდან როგორ გადაიგდებს თმის კულულს ხოლმე.

თორმეტი მსუბუქი ნაბიჯი მოსახვევს იქით. მერე ორი თუ სამი ქვის საფეხური. კარი მიჯახუნდა, კარი გაიღო. გზადაგზა ტყავის ჩანთას ხურავს და ისევ და ისევ წინ მიჰქრის ჩემი კარგი დოლორეს პეტუხოვა.

აი სექტემბერიც დადგა. ქალაქის მისადგომებთან, სულ ახლოს, ბრძოლა წარმოებდა. ქუჩებში ბარიკადებს აგებდნენ. ქალაქის კარიბჭესთან მომდგარი მტერი ბომბებს გვიშენდა, გვაყრიდა ფურცლებს, რომლებშიც მათთვის დამახასიათებელი თავხედობითა და თვითდაჯერებით გვარწმუნებდა, თქვენს წინააღმდეგობას აზრი არა აქვს და სჯობს დაგვნებდეთო.

ნახევარი თვეა, რაც შინ არ ვყოფილვარ, მაგრამ გოგონა, რომელსაც დოლორესი შევარქვი, არ დამვიწყებია. სადაც არ უნდა მოესწრო ჩემთვის საჰაერო განგაშს — ყველგან ჩემი მიწაწყლის პატარა პირმშოს მომაგონებდა. და პირველივე განგაშმა, რომელმაც შინ გამომალვიძა, კვლავ ის გამახსენა.

ფანჯარასთან ნახევრადჩაცმული მივიჭერ, რომ არ გამომპარვოდა მისი გამოჩენა. შემოდგომის უფერული დღე იდგა. ქუჩა დაცარიელებულიყო. მხარზე კარაბინგადაკიდებული მილიციონერი, ქამართან გლუვი ლითონის მუზარადით, კუთხის სახლის სადარბაზოსაკენ მიერეკებოდა ქვეითად მოსიარულეებს.

მთლად დავიძაბე. ჰა, ახლა გამოჩნდება დოლორესი და ჰა, ახლა, ფიცრული ღობის ფონზე-მეთქი, სადაც უზარმაზარ, უკვე გამოხუნებულ პლაკატზე მუშა, წინგამოწეული თოფით, მოუწოდებს ძმებსა და ამხანაგებს:

„არ გაუშვათ მტერი!!!“

გოგონა არსად ჩანდა. ორი წუთიც გავიდა. შტაბის სადარბაზოსთან ველოსიპედით მოსრიალდა იასამნისფერ მაისურში გამოწყობილი აწოწილი ყმაწვილი, ველოსიპედი შესასვლელთან მიაგდო; გზადაგზა ჩანთის ხსნით, სწრაფად ავარდა კიბეებზე. წუთის შემდეგ მოტრიალდა, მანქანაზე დაჯდა და წავიდა.

იმ დღეს კიდევ რამდენიმეჯერ იყო განგაში. დოლორესი არც მაშინ გამოჩენილა, როგორც ჩანს, იასამნისფერ მაისურაში გამოწყობილმა ბიჭმა შესცვალა. მას სიმპათიური, ვაჟკაცური, გულღია სახე ჰქონდა და მეტად კარგად, ზუსტად ტრენინგის წესისამებრ, დაასრიალებდა ველოსიპედს, მაგრამ მე კარგად მახსოვს, მის დანახვაზე უსიამოვნო გრძნობა მეუფლებოდა.

მეორე დღეს, საღამოთი, შტაბში შევიარე, იქ, მკლავზე წითელშემოსაკრავიანი ურიცხვი ქალი ირეოდა. ენით აუწერელი ხმაური იდგა. ჯერ ვერ მიმიხვდნენ, რომელ გოგონას ვკითხულობდი. მას ხომ არც დოლორესი ერქვა და არც პეტუხოვა იყო გვარად. სინამდვილეში რა ერქვა არც ეს ვიცოდი. ეს არც შტაბში იცოდნენ, ეს ერთი იმ მრავალთაგანი იყო, ვინც თავისი ნება-სურვილით, ლენინგრადის კომკავშირის მოწოდებით, წავიდა თავდაცვით სამუშაოზე — სანიტარულ რაზმებში, გამანადგურებელ ბატალიონებში, მეკავშირეთა ჯგუფებში. გოგონას ბედი ქალებმა გამაცნეს: სულ ახლოს, აი აქვე, კუთხეში, მორიგი ტელეფონოგრამით რომ მორბოდა, ბომბმა ნაკუწებად აქცია თურმე, ასე რომ დასამარხიც აღარაფერი იყო.

ქალები ამას უცრემლოდ მიყვებოდნენ, რადგან იმ დროის ხალხი ტირილს გადაეჩვია.

მათი ნაამბობის სისწორეში ვერ დავეჭვდებოდი; ორმა თუ სამმა საკუთარი თვალით ნახა ის, რაც დოლორესისაგან დარჩა.

მაინც ვერ დავიჯერე. წლის განმავლობაში რა არ ვნახე: გვამებს ვაბიჯებდი და გვამებზე მივაბიჯებდი, დასერილ, დაგლეჯილ და შებღალულ ადამიანთა სხეულებს ვხედავდი. მაგრამ მოკლული, მკვდარი ან თუნდაც უძრავი ეს გოგონა ვერ წარმომედგინა, ვერა და ვერა. ვცდილობ წარმოვიდგინო და არაფერი გამომდის. თვალს დავხუჭავ და თვალწინ მიდგას ჰაეროვანი, ქერათმიანი, ტანკენარი, პაწაწინა და ვაჟკაცური, რომელიც სულ წინ მიილტვის.

თარგმნა ჯილდა გორდაძემ

# „საქართველოს ქალის“ საიუბილეოდ ნათქვამი

1. სამშობლოს ქალნი იცავენ, რაკი დამცველებს ზრდიანო.
2. ოჯახს ქალი ათბობს, განა ღუმელიო.
3. ლამაზქალიანი ოჯახი კარგია, მაგრამ ლაზათქალიანი ჯობიაო.
4. სიკვდილმა დაიკვნესა — ქალი სასტიკად მჩაგრავს: მე იმდენს ვერა ვხოცავ, რამდენსაც იგი შობსო.
5. რძალო ტკბილად მოიქეცი, შენც გახდები დედამთილიო.
6. ბედნიერი ხარ თუ „დედაც“ გითქვამს და „შვილოცაო“.
7. მზითევში მოყოლილი ყველაფერი გაცვდებაო, ხასიათი დარჩებაო.
8. დედობა და დიდება კარის მეზობლები არიანო.
9. უდიასახლისო სახლს უსახლო დიასახლისი გერჩივნოსო.
10. რა არის ოჯახი უდედოდ, დარბაზი უდედაბოძოდ, სკა უდედაფუტკროდ, მაწონი უმაწვნისდედოდ, გუთანი უგუთნისდედოდ, მეტყველება უდედაენოდ, ნაწარმოები უდედააზროდ, სამშობლო უდედულეთოდ, სამყარო უდედამიწოდ?!
11. ნახევერსაუკუნოვანი ასაკი არცერთ ქალს არ ეამაყება, გარდა „საქართველოს ქალისა“.

ვახტანგ ჯავრიშვილი

წაუკითხეთ პატარებს

გუგული ტოგონიძე

# სკუპია მიდის სკოლაში

— ხვალ პირველი სექტემბერია, ხედავ რა მოგიქსოვე?! — უთხრა დედა-კურდღელმა ბაჭიას და ჩალის ღეროებისაგან მოწნული ჩანთა მაგიდაზე დადო.

ბაჭიამ ჩანთას ხელი წამოავლო და ჰაერში შეისროლა.

— მივდივარ, მივდივარ, ხვალ სკოლაში მივდივარ, ჰერი! — შესძახა და სულ კუნტრუშ-კუნტრუშით შემოირბინა კუთხე-კუნჭული.

— შეჩერდი! — დაუყვირა დედამ. — ნუ გადაირიე. გაიქეცი და ჭადრის ფოთლები მომიტანე. რვეულს აგიკინძავ. რკოს წამოღებაც არ დაგავიწყდეს, ჩანთას ღილი უნდა დავაკერო.

— მივდივარ, მივდივარ! — არ შეჩერებულა, ისე გავარდა ბაჭია გამოღებულ კარში და სულ სკუპ-სკუპით ჩაირბინა კიბეები. ეზოში დაგდებულ ბურთს ფეხი გაჰკრა, — ბუხ! — დაიძახა ბურთმა და ჰაერში აიჭრა, მერე ხიდან ჩამოვარდნილ ვაშლივით ძირს დაეშვა და კრუხის ფრთებქვეშ შეყუჟული წიწილები ააფორიაქა. ბაჭიამ აწივლებულ წიწილებში შეიშლიგინა.

— ტყაპ! — ჩაჰკრა ფეხი საგუბარში, წყალმა შარვლის ტოტები დაუსველა.

— უჰ, უჰ! — თვალებიდან ცეცხლი გადმოცვივდა კრუხს, ფრთები გაფოფრა, კისერი წაიგრძელა და ბაჭიას ტკრციალით დაედევნა: — დამაცა, დამაცა, შენ გიჩვენებ სეირს, ერთს ისეთს ჩაგინისკარტებ, რომ...

ბაჭიამ აინუნშიც არ ჩააგდო მისი ქოთქოთი, ჭიშკარს გვერდი აუარა, და ღობეს გასროლილ ქუდივით გადაევლო.

— წკაპ! — დაიძახა უცებ ღილმა და ბაჭიას შარვალი მუხლებზე ჩამოუვარდა.

— უჰ! — ხელი იტაცა ბაჭიამ, შარვალი ამოიწია და მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო.

— კრრ... — კრ, — აკრიახდა გარღვეულ ღობეში თავგამოყოფილი კრუხი, — ეგეც შენ!

— იი! — ენა გამოუყო ბაჭიამ, შარვლის სათავე ხელით ჩაბღუჯა და უკანმოუხედავად შევარდა ტყეში.

— მივდივარ, მივდივარ, ხვალ სკოლაში მივდივარ! — მიღიღინებდა და მიკუნტრუშობდა, — მივდივარ, მივდივარ...

— სად მიდიხარ სკუპია? — ჩამოსძახა ხიდან გულწითელამ.

— სკოლაში...

— რამდენხანს უნდა დარჩე იქ?

— ერთი წელი. დედამ მითხრა, იქიდან რომ დაბრუნდები, უკვე ბაჭია კი არა, კურდღელი იქნებიო. ახლა, იცი რა? ფოთლები ჩამომიყარე. რვეული უნდა ამიკინძოს დედამ.

— ერთი, ორი, სამი, — გაუსვა ნისკარტი ფოთლის ყუნწებს გულწითელამ და — ფრ... ფრ... ჩამოშრიალდნენ ძირს ჭადრის ფოთლები. სკუპიამ ფოთლები ცალი ხელით წამოკრიფა და შარვალზე დაკერებულ ვეებერთელა ჯიბეში ჩაიტენა.

— გმადლობთ! — შესძახა გულწითელას და სახლისაკენ მიმავალ ბილიკს სკუპ-სკუპითა და სიმღერით დაადგა: — მივდივარ, მივდივარ, ხვალ სკოლაში მივდივარ!

— რა ჰქენი, მოიტანე!? — ჰკითხა ოთახში შემოსულ ბაჭიას დედამ.

სკუპიამ ჯიბეზე ხელი იტაცა და მაგიდაზე ფოთლები დაახვავა.

— ბიჭო, რა გიქნია ეს, როგორ დაგიჭმუჭნია? — შეწუხდა დედა და ჭადრის ფოთლებს გასწორება დაუწყო.

— უჰ, რკო დამავიწყდა! — წამოიძახა უცებ სკუპიამ, ადგილს მოსწყდა და კიბეები სულ თავპირისმტვრევით ჩაირბინა.

— მუხავ! — შესძახა ხეს სკუპიამ (შარვალი, რა თქმა უნდა, ისევ ცალი ხელით ჰქონდა ჩაბღუჯული) — ჩამომიგდე რკო, რკოს მივუტან დედას. დედა დამიკერებს ჩანთაზე. ჩანთაში ჩავაწყობ რვეულებს. წამოვავლებ ხელს ჩანთას და სულ სკუპ-სკუპით გავიქცევი სკოლაში. იქ მასწავლიან წიგნის კითხვას, მერე თვითონ წავიკითხავ ზღაპრებს, მოვალ და მოგიყვები.

მუხამ ტოტები მძლავრად შეარხია და რკო კაკ-კუკით ჩამოცვივდა ძირს.

— ძილი ნებისა! — უთხრა დაღამებისას დედამ სკუპიას, საბანი გაუსწორა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— წიგნს არ წამიკითხავ? — გაუკვირდა სკუპიას (დედა ძილის წინ ყოველთვის უკითხავდა).

— ხვალ ადრე უნდა ადგე, რომ სკოლაში წასვლა არ დაგაგვიანდეს. დაიმახსოვრე, კარგ და ბეჯით ბაჭიაზე მოთხრობებს დაწერენ.

— თუ კარგი ვიქნები, ჩემზეც?!

— რა თქმა უნდა შენზეც. იმ მოთხრობებს კი ყველა წაიკითხავს.

— მასწავლებელიც?

— ჰო, მასწავლებელიც! — სათვალის ზემოდან გადმოხედა დედამ, — დაიძინე.

— ნეტავ რანაირია ჩემი მასწავლებელი? — გაიფიქრა ბაჭიამ. გვერდზე გადაბრუნდა, ლოყის ქვეშ ხელები ამოიდო, თვალები დახუჭა და იმ წუთშივე ჩაეძინა. ჩანთაში კი დიდხანს შრიალებდნენ რვეულები. ისინიც მოუთმენლად ელოდნენ პირველი სექტემბრის დილას...

მსოფლიოს მუზეუმებში

# ტრეტიაკოვის გალერეა

„კაცი რომ მოსკოვში ჩამოვა, არხანგელსკიდან იქნება ეს, კავკასიიდან თუ ამურიდან — მაშინვე იმ დღეს დანიშნავს, მოსკოვის ბოლოს, ლავრუშინის შესახვევში როდის წავიდეს“... — წერდა სტასოვი 1898 წელს. და დღემდე გაუთავებელ ნაკადად მოედინება ხალხი ლავრუშინის შესახვევში, სადაც ტრეტიაკოვის გალერეა მდებარეობს, რათა იხილოს რუსული და საბჭოთა მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები.

1856 წელს მოსკოველმა ვაჭარმა პავლე მიხეილის ძე ტრეტიაკოვმა (1832-1892) რუსი მხატვრების ორი სურათი შეიძინა: ნ. გ. შილდერის „ცთუნება“ და ვ. მ. ხუდიაკოვის „ფინელ კონტრაბანდისტებთან შეტაკება“. ასე დაიწყო ტრეტიაკოვის შემგროვებლობითი მოღვაწეობა.

ანდერძის წერილში, რომელიც 1860 წელსაა დაწერილი, პ. მ. ტრეტიაკოვი წერდა: „მე... სურვილი მქონდა დამეტოვებინა ეროვნული გალერეა. ჩემთვის, ადამიანისათვის, ვისაც ასე ჭეშმარიტად და მხურვალედ უყვარს მხატვრობა, არ არსებობს უკეთესი სურვილი, ვიდრე ის, რომ საფუძველი ჩავუყარო სახალხო, ყველასათვის ხელმისაწვდომ საცავს ნატიფი ხელოვნების ნიმუშებისა, რომლებიც ყველას სარგებლობას მოუტანს და სიამეს მოჰგვრის“.



ვ. სეროვი. მზით განათებული ქალიშვილი.



ა. არხიპოვი. მრეცხავები.



ი. რეპინი. დასვენება.

60-იანი წლების ბოლოს გალერეის არსებობა უკვე ბევრმა ხელოვნებისმოყვარულმა იცოდა.

70-იანი წლების დასაწყისში ტრეტიაკოვის საცხოვრებელ სახლს მიაშენეს შენობა, სადაც განლაგდა სწრაფად გაზრდილი სურათების კოლექცია. გალერეას ეწვივნენ პირველი მნახველები.

მ. კ. ნესტეროვი წერს: ამხანაგებთან ერთად ისე დავდივარ ლავრუშინის შესახვევში, როგორც საკუთარ სახლშიო.

1892 წელს გარდაიცვალა პ. მ. ტრეტიაკოვის უმცროსი ძმა სერგეი მიხეილის ძე ტრეტიაკოვი. სერგეი მიხეილის ძე უცხოელ ოსტატთა ნამუშევრებს აგროვებდა, მან იცოდა უფროსი ძმის განზრახვა გალერეის ქალაქ მოსკოვისათვის გადაცემის შესახებ და თავისი ანდერძის წერილში ნება მისცა კოლექციის ბედი მას გადაეწყვიტა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დააჩქარა პ. მ. ტრეტიაკოვის დიდი ხნის სურვილის განხორციელება: მან 1832 წლის 31 აგვისტოს ქალაქის დუმას მიართვა განცხადება ქალაქისათვის სამხატვრო გალერეის გადაცემის შესახებ.

1893 წელს ოფიციალურად იქნა გახსნილი პავლე და სერგეი ტრეტიაკოვების სახელობის სამხატვრო გალერეა.

პავლე მიხეილის ძე ტრეტიაკოვს სურათების შეძენისას ერთი წუთით არ ღალატობდა მხატვრული ინტუიცია, მიუხედავად ამისა ყოველთვის როდი ხელმძღვანელობდა პირადი სიმპათიებით, იგი ობიექტურად აფასებდა ამა თუ იმ სურათის მნიშვნელობასა და შეძენის აუცილებლობას რუსეთის ხელოვნების ისტორიისათვის. თითოეული მხატვრის სურვილი იყო გამოფენის შემდეგ ენახა თავის სურათზე მიმაგრებული ბარათი „შეძენილია პ. მ. ტრეტიაკოვის მიერ".

პ. მ. ტრეტიაკოვი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ზრუნავდა გალერეის ბედზე; მთელი მისი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო მოძრავი სამხატვრო გამოფენების ამხანაგობასთან. ჩვენს ამხანაგობას თქვენზე უკეთესი მეგობარი არავინ ეგულვისო — წერდა ვ. მ. მაქსიმოვი. მაქსიმოვს მხედველობაში ჰქონდა ის უანგარო დახმარება, რომელსაც პ. მ. ტრეტიაკოვი გაჭირვებულ. უსახსრო მხატვრებს უწევდა.

რუსული ხელოვნების მუზეუმის შექმნისას ტრეტიაკოვის უპირველესი მიზანი იყო გამოჩენილ თანამედროვეთა პორტრეტების შეძენა. ამ მიზნით იგი დიდ მხატვრებს უკვეთავს დახატონ დოსტოევსკის, დალის, ტოლსტოის, სალტიკოვ-შჩედრინის და ნეკრასოვის პორტრეტები, გერცენისა და კოს-



კ. კოროვინი. ზამთარში.

მ. ვრუბელი. პანი.



ტომარიოვის პორტრეტები კი მან მხატვარ გესაგან შეიძინა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული რეალისტური ხელოვნების ნიმუშები, როგორც წესი, გამოფენებიდან და სამხატვრო სახელოსნოებიდან პირდაპირ მუზეუმში ინაცვლებდნენ.

შემდეგ ტრეტიაკოვმა დაიწყო XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის მხატვართა ნამუშევრების შეგროვება. ასე აღმოჩნდა მის კოლექციაში ო. კიპრინსკის, ვ. ტროპინინის, პ. ფედოტოვისა და კ. ბრიულოვის ტილოები. 1890 წლიდან კი მან ხელი მიჰყო ძველრუსული ნაწარმოებების შეძენას.

1901-1902 წლებში გალერეის შენობის ახალ ფასადზე ვ. ვასნეცოვის პროექტით ძველრუსული ხვეული ხელით ამოტვიფრული იქნა წარწერა — „პავლე მიხეილის ძე და სერგეი მიხეილის ძე ტრეტიაკოვების სახელობის მოსკოვის საქალაქო სამხატვრო გალერეა, დაარსებული პ. მ. ტრეტიაკოვის მიერ 1856 წელს ს. მ. ტრეტიაკოვის კოლექციასთან ერთად, თანახმად მისივე ანდერძისა, 1892 წელს მოსკოვისათვის ძღვნად მირთმეული“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ტრეტიაკოვის გალერეა ერთ-ერთ წამყვან მუზეუმად იქცა საბჭოთა კავშირში. ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ამ მუზეუმის ნაციონალიზაციის შესახებ.

რევოლუციის პირველ ათეულ წლებში ტრეტიაკოვის გალერეა დიდად გაიზარდა კერძო კოლექციებიდან შემოსული ტილოებით. ოციან წლებში ტრეტიაკოვის გალერეას შეუერთდა მოსკოვის ყოფილი რუმიანცევის მუზეუმის დიდი კოლექცია.

მუზეუმში შეიქმნა ძველი რუსული ხელოვნების განყოფილება, რომელიც ახლა მის სიამაყედ ითვლება.

რევოლუციის პირველსავე წლებში ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ხელოვნების განყოფილებას. ახლა აქ საბჭოთა მხატვრობის, გრაფიკისა და ქანდაკების უზარმაზარი კოლექციაა შექმნილი.

მუზეუმს აქვს ხელნაწერების განყოფილებაც, სადაც ინახება ძვირფასი მასალები რუსული და საბჭოთა ხელოვნების ისტორიიდან.

სისტემატურად ივსება ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის ფონდი საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებებით. თუ 1892 წელს აქ იყო სულ 1840 ნამუშევარი, 1970 წლისათვის ამ რიცხვმა 40 ათასს მიაღწია.

მუზეუმის დარბაზებში პერიოდულად იმართება საიუბილეო, თემატური, პერსონალური გამოფენები.

მუზეუმის მხატვრულ ნაწარმოებთა უმდიდრესი კოლექცია საშუალებას გვაძლევს კარგად შევისწავლოთ რუსული მხატვრობის გზა XI საუკუნიდან დაწყებული ჩვენს დღეებამდე.

გ. დოლენჩუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საოჯახო კლუბი

### ბავშვთა ალერგიული დაავადებანი

# ბრონქიალური ასთმა

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ძალზე გახშირდა ალერგიული დაავადებანი, რომელთა შორის ბრონქიალურ ასთმას პირველი ადგილი უჭირავს. ამიტომაც ალერგია იქცა მედიცინის ერთ-ერთ პრობლემატურ დარგად, რომელსაც გულმოდგინედ სწავლობენ თითქმის ყველა ქვეყანაში. მეცნიერთა ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს ალერგიული დაავადებების გახშირება ბავშვთა ადრეულ ასაკში.

რა არის ამ დაავადების გახშირების მიზეზები? — ისინი მრავალგვარია, მაგრამ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ცხოვრების ტემპების მკვეთრი ზრდა, ადამიანის ორგანიზმის დატვირთვა სხვადასხვა გამაღიზიანებლებით, ცენტრალური ნერვული სისტემის მიერ უამრავ ინფორმაციათა მიღება და გადამუშავება, რაც იწვევს ორგანიზმის რეაქტიულობის მკვეთრ ცვლილებებს. ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონალური ცვლილებები (აგზნება-შეკავებითი ხასიათისა). ძლიერ მოქმედებს ნეირო-ჰუმორალურ რეგულაციაზე, აუკუღმართებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს და ქსოვილოვან რეაქციებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ალერგიული დაავადების ჩამოყალიბებას. დაავადების მიზეზებს მიეკუთვნება აგრეთვე ჰაერის ძლიერი დაბინძურება, განსაკუთრებით ავტომანქანების გამონაყოფი გაზები, ყოფაცხოვრებაში მრავალი სინთეზური (მაღალმოლეკულური) ნივთიერებების შემოჭრა, სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებათა ფართოდ ხმარება. ამ ბოლო დროს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ შეუთავსებლობის ფაქტორებს დედასა და ნაყოფს შორის (რეზუს-კონფლიქტი, სისხლის ჯგუფობრივი შეუთავსებლობა და სხვა), ასევე დედის ავადმყოფობას ორსულობის დროს, გენეტიკურ ფაქტორებს, მკერდუკანა ჯირკვლის — თიმუხის განუვითარებლობას. ასეთ ორგანიზმებს ძლიერი მიდრეკილება აქვთ ბაქტერიული ინფექციისადმი, ვირუსული და სოკოვანი დაავადებისადმი. ეს კი შემდგომში განაპირობებს ორგანიზმის მგრძნობელობის აწევას მრავალი ნივთიერების (ალერგენის) მიმართ და ალერგიული რეაქციების განვითარებას.

ამჟამად ცნობილია ორგანული და არაორგანული მოქმედების 300.000-ზე მეტი ალერგენი, რომელთაც აქვთ პოტენციური უნარი გამოიწვიონ ესა თუ ის ალერგიული დაავადებანი.

ალერგენები შეადგენენ ორ დიდ კლასს: ენდო და ეკზოალერგენები. ესენია არაინფექციური ნივთიერებები — საყოფაცხოვრებო და სხვადასხვა მცენარეული მტვერი, კვებითი ალერგენები (მცენარეული და ცხოველური), ეპიდერმალური (ცხოველის ბეწვი, ფრინველის ბუმბული) და მრავალი სხვა. ინფექციური ალერგენებიდან ცნობილია ბაქტერიული, ვირუსული ალერგენები. ენდოალერგენებიდან მეტად მნიშვნელოვანია აუტოალერგენები — ორგანიზმის ქსოვილთა და მიკრობთა კომპლექსები.

ადრეულ ასაკში ორგანიზმის სენსიბილიზაციაში (მგრძნობელობის მომატება) უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება კვებით ალერგენებს, განსაკუთრებით ძროხის რძეს, რომელიც ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომელთაც შეუძლიათ ჩვილობის ასაკში ბრონქიალური ასთმის შეტევის განვითარება და ანაფილაქსური შოკის გამოწვევა. სხვა კვებითი ალერგენებიდან ცნობილია ქათმის კვერცხის ცილა (ალბუმინი), ზოგიერთი ხილი და ბოსტნეული, რაც ინდივიდუალურია ყველა ცალკეული ბავშვისათვის. უფრო მოზრდილი ბავშვები განიცდიან სენსიბილიზაციას ბაქტერიული ალერგენებით, რასაც ხელს უწყობს მათ ორგანიზმში ქრონიკული ინფექციური კერების არსებობა (ტონზილიტი, სინუსიტები, კარიესი და სხვა). ეს ხშირად აუტოსენსიბილიზაციისა და მოგვიანებითი (ტუბერკულოიდური ტიპის) რეაქციების განვითარების მიზეზია. თუ ზომებს დროზე არ მივიღეთ, შემდგომში ორგანიზმის მგრძნობელობის აწევა პროგრესული გზით წარიმართება, გაიზრდება რეაქტიულობა სხვადასხვა ნივთიერებებისადმი (ოთახის მტვერი, მედიკამენტები და ა. შ.) და მოხდება რთული ალერგიული სიმპტომოკომპლექსის ჩამოყალიბება, რასაც პოლიალერგია ეწოდება. იმის მიხედვით, თუ რომელი ალერგენის ან ალერგენების მიზეზით არის გამოწვეული შეტევა, არჩევენ ბრონქიალურ ასთმას: ინფექციურ-ალერგიულს, ალერგიულს (ატოპიურს) და პოლიალერგიულს, რომელთა დადგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მკურნალობის სწორად წარმართვისათვის.

დაავადების შეტევით სტადიაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ბრონქების გამაფართოებელი საშუალებები: ეფედრინი, ადრენალინი, ეუფილინი, ალუპენტი, ორციპრენალინი, ინოლინი, ზოგადი დესენსიბილიზაციის (მგრძნობელობის დაქვეითება) და ანტიჰისტამინური საშუალებები: დიმედროლი, სუპრასტინი, პიპოლფენი, ტავეგილი; სულფანილამიდებისაგან კარგ შედეგს იძლევა მადრიბონი, მეტაფიდინი, სულფომონომეტოქსინი; ანტიბიოტიკებისაგან — ოლეანდომიცინი, ოლეტეტრინი, გარამიცინი და მრავალი სხვა. ყოველი წამლისადმი ავადმყოფის ინდივიდუალური დამოკიდებულების გათვალისწინებით აუცილებელია საგულე საშუალებების დანიშვნა, ვიტამინოთერაპია, აეროთერაპია.

ბრონქიალური ასთმით დაავადებული ბავშვის მკურნალობა შეტევათა შორის პერიოდში უნდა დავიწყოთ და მას ეტაპური ხასიათი უნდა ჰქონდეს. პირველ ეტაპზე საჭიროა მოზარდს მოვაცილოთ არსებული ინფექციის ქრონიკული კერები (ტონზილიტი, კარიესი), დაბეჯითებით ვუმკურნალოთ სინუსიტებს, ჰაიმორიტებს, ბრონქიტებს, როგორც ანტიბიოტიკებითა და სულფანილამიდური პრეპარატებით, ასევე ფიზიოთერაპიული საშუალებებით. ქრონიკული კერების სანაციის გარეშე რაიმე დადებითი ეფექტის მიღება შეუძლებელია, რადგან მოზარდის აუტოსენსიბილიზაცია სწორედ ამ კერებიდან წარმოებს და კონტაქტი აქვს ფილტვებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ინფექციის ქრონიკული კერების ლიკვიდაცია საკმაოდ ძნელია, იგი ექიმის, ავადმყოფის მოთმინებასა და პუნქტუალობას მოითხოვს. ასევე საჭიროა ბავშვს შევუქმნათ მშვიდი გარემო, ჩავუნერგოთ რწმენა გაჯანსაღებისადმი. ყოვლად დაუშვებელია ავადმყოფის ფიზიკური და ფსიქიური გადატვირთვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახი, სადაც ავადმყოფს ყოფნა უხდება, უნდა იყოს მაქსიმალურად სუფთა, იწმინდებოდეს სველი ტილოთი. დაუშვებელია ბინის რბილი ავეჯითა და ნოხებით გადატვირთვა, მატყლის ლოგინით სარგებლობა; არ შეიძლება აგრეთვე აქვარიუმის, ჩიტების, ძაღლების და კატების ყოლა. წიგნების კარადები უნდა იკეტებოდეს ჰერმეტულად. დაუშვებელია იატაკის მოწმენდა ქიმიური ნივთიერებებით, ეს აღიზიანებს სასუნთქ სისტემას და ზოგჯერ შეტევას იწვევს.

შეტევათა შორის პერიოდში საჭიროა ვეცადოთ ბავშვის ორგანიზმის გაკაჟებას, გამოვიყენოთ სამკურნალო ფიზკულტურა (სუნთქვითი ვარჯიშები), სუფთა ჰაერი, წყალი, მზე. კარგ შედეგს იძლევა ბრონქების მექანიკური გაფართოება ჩასაბერი ინსტრუმენტების საშუალებით (სალამური, საყვირი და სხვ.). ამ მიზნით შეიძლება გასაბერი ბურთის გამოყენებაც. კარგია თუ ყველა ამ საშუალებებთან შერწყმული იქნება გულმკერდის მასაჟი.

თუ ამ ღონისძიებათა შემდეგ ეფექტს ვერ მივაღწევთ, უნდა ვეცადოთ ე. წ. ზოგადი დესენსიბილიზაციის მოხდენას ჰისტაგლობინის საშუალებით, ზოგჯერ ეს სასურველ შედეგს იძლევა.

მკურნალობის შემდგომ ძირითად ეტაპს წარმოადგენს ბრონქიალური ასთმის სპეციფიკური თერაპია, რასაც სპეციფიკური დესენსიბილიზაცია ეწოდება. სპეციფიკური მკურნალობის ყველაზე კარგი საშუალებაა დაავადების გამომწვევი ალერგენის მოშორება, მაგრამ ეს ყოველთვის როდი ხერხდება. ამიტომ საჭირო ხდება ორგანიზმს დავუქვეითოთ მგრძნობელობა ალერგენის მიმართ სათანადო სპეციფიკური იმუნიტეტის (დამცველი ანტისხეულების) გამომუშავებით. ამის მიღწევა შეიძლება ალერგენის მზარდი დოზების კანქვეშ თანდათანობით შეყვანით მანამ, სანამ ავადმყოფს გამძლეობა არ გამოუმუშავდება.

ინფექციური ბრონქიალური ასთმის შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა აუტოვაქცინებით მკურნალობა, ხოლო არაინფექციური ასთმის დროს საუკეთესოა „ინდივიდუალური“ ალერგენი (მაგალითად, ავადმყოფის ოთახის მტვერი). ზემოხსენებული მკურნალობა მოითხოვს სპეციალიზებულ ალერგოლოგიურ კაბინეტებს, სადაც ხდება ავადმყოფთა მკურნალობა ხანგრძლივი დროის მანძილზე — 6 თვიდან 2 წლამდე.

რაც შეეხება ჰორმონალურ თერაპიას, რასაც ზოგიერთი მკურნალი მიმართავს, ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული მკურნალობის ეტაპების გავლის გარეშე, საერთოდ, ჰორმონალურ თერაპიას უნდა ვერიდოთ და მხოლოდ უკიდურესად მძიმე მდგომარეობისას მივმართოთ.

**მ. მდინარაძე,**

საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# როგორ მოვუაროთ იუველირულ ნივთებს

როცა ოჯახში საქმიანობთ — იატაკს წმენდთ, სადილს ამზადებთ, ჭურჭელს რეცხავთ, ან სხვა რამ საქმეს აკეთებთ, თითიდან მოიძრეთ ბეჭედი: მუშაობის დროს შეიძლება იგი გაგეკაწროთ ან გაგიტყდეთ. 375, 500 და 583 სინჯის სამკაულები იმ ადგილას, სადაც კანს ეხება, ოფლისაგან შავდება.

კოსმეტიკური საშუალებების ხმარებისას სამკაულები უნდა მოიხსნათ, რადგან ზოგიერთი მალამო და კრემი ვერცხლის წყალზე ან მის შენაერთებზეა დამზადებული, ეს ნივთიერება კი ოქროზე თეთრ ლაქებს ტოვებს. ლაქები დროთა განმავლობაში აზიანებს ნაკეთობის ზედაპირს. სამკაულები უნდა მოიხსნათ მაშინაც, როცა მუშაობა გიხდებათ გოგირდოვან შენაერთებთან.

თუ ხელი გაგეჭრათ და იოდი უნდა წაისვათ, ბეჭდები მოიცალეთ, რადგან ოქროზე იოდის ხსნარიც ტოვებს მუქ ლაქებს. მაგრამ თუ მაინც დაგილაქიანდათ იოდით ბეჭედი, იგი უნდა გაიწმინდოს ჰიპოსულფატის ხსნარში (ერთი ჩაის კოვზი ჰიპოსულფატი ერთ ჭიქა წყალზე) დასველებული ბამბით; შემდეგ გაავლოთ თბილ წყალში და ბოლოს მშრალი ფლანელის ნაჭრით გაამშრალეთ.

სხვა ლაქების მოსაცილებლად კი საჭიროა ოქროს ნივთები გარეცხოთ საპნიანი წყლით, შემდეგ გაწმინდოთ კბილის ფხვნილში ამოვლებული სველი ნაჭრით, კვლავ თბილ წყალში გაავლოთ და გაამშრალოთ. ასეთივე წესით შეიძლება მოაცილოთ ლაქები თეთრ ლითონებსაც.

უნდა გვახსოვდეს, რომ გაჭუჭყიანებული ძვირფასი ქვები, განსაკუთრებით ბრილიანტი, აღარ ციმციმებს და აღარ ბრწყინავს. ძვირფასი ქვის ქვედა წახნაგებზე გადაკრული ჭუჭყის უმნიშვნელო ფენაც კი აფერხებს სხივთა არეკვლასა და გარდატეხას და მოელვარე ქვა იბინდება. თვალს ჭუჭყი რომ კარგად მოსცილდეს, უნდა გარეცხოთ რბილი ჯაგრისით და საპნით; გაავლოთ სუფთა წყალში და მაშინვე ფილტრის ქაღალდით ან სუფთა ნაჭრით შეამშრალოთ.

## სილამაზის სალონი

# კვერცხი სილამაზის სამსახურში

ბოლო დროს კოსმეტიკა სილამაზის ბუნებრივ საშუალებებს უბრუნდება; ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვეულებრივი კვერცხის ხმარება.

კვერცხის ცილა სუფთა პროტეინს წარმოადგენს, იგი ავიწროვებს ფორებს, ხელს უწყობს უჯრედების სისხლით მომარაგებას. ცილა და გული ერთმანეთისაგან გააცალკევეთ, შემდეგ ცილა კარგად გათქვიფეთ, ქაფად ქცეული მასა ბამბის ტამპონით წაისვით სახესა და ყელზე (თვალის უპეებზე ცილის ხმარება არ შეიძლება). ეს ნიღაბი სახეზე 10-15 წუთი გაიჩერეთ და ცივი წყლით ჩამოიბანეთ. ცილის ნიღაბი უფრო ცხიმიან კანს უხდება, იგი სწრაფმოქმედია, 2-3 საათის განმავლობაში სახის კანი თეთრი და გადატკეცილი გექნებათ.

კვერცხის გული არბილებს მშრალ კანს. ერთი კვერცხის გულს მიუმატეთ ერთი კოვზი ნუშის ან ზეითუნის ზეთი, ერთი კოვზი თაფლი, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი და ერთმანეთში კარგად აურიეთ. ნიღაბი 15-20 წუთი გაიჩერეთ სახეზე (სახეს ნუ დამანჭავთ), შემდეგ მოიცილეთ სველი ბამბით და კარგად ჩამოიბანეთ.

თუ ცხიმიანი თმა გაქვთ, გახსენით ორი კვერცხის ცილა 2-3 სუფრის კოვზ წყალში და რაც შეიძლება კარგად წაისვით იგი თმის ძირებში. 5 წუთის შემდეგ თმა თბილი წყლით დაისველეთ და 5-10 წუთის განმავლობაში თავის კანი თითებით იზილეთ. შემდეგ კი თავი დაიბანეთ კვერცხის გულით.

მშრალი თმისათვის კვერცხის შამპუნი თავად შეგიძლიათ მოამზადოთ: სამი კვერცხი და 30 გრამი რომი იქამდე თქვიფეთ, ვიდრე ნაზავი ქაფად არ იქცევა. ნარევი შეიზილეთ თმის ძირებში, შემდეგ თბილი წყლით კარგად ჩამოიბანეთ. თმა სასიამოვნო ელფერს მიიღებს.

აქვე გაგაცნობთ „ბიგუდებით“ თმის ცივად დახვევის რეცეპტს: ვარცხნილობა რომ დიდხანს გაჩერდეს, გათქვიფეთ კვერცხის ცილა და აურიეთ წყალში 2:1 შეფარდებით. წინასწარ დაბანილ თმას ოდნავ გადაუსვით ეს სითხე და დაახვიეთ „ბიგუდებზე“, გაშრობის შემდეგ თმას რომ დაივარცხნით, დარწმუნდებით მის მდგრადობასა და სიკეთეში.

# არის თუ არა კლიმაქსი დაავადება?

კლიმაქსი ქალს სხვადასხვა ასაკში ემართება: უმეტესად 45-50 წლისას, ზოგს ძალიან ადრე — ორმოც წლამდე, ზოგსაც უფრო გვიან — 55 წლის შემდეგ.

დაკვირვებები გვიჩვენებს: ქალებს, რომლებიც ორ-სამჯერ არიან ნამშობიარები, კლიმაქსი უფრო გვიან ეწყებათ, ხშირ აბორტებს დედათა წესის ადრე შეწყვეტა მოსდევს. აღინიშნება კავშირი მენოპაუზასა (დედათა წესის გადადგომა) და გინეკოლოგიურ დაავადებებს შორის.

სოფელში მცხოვრებ ქალებს მენოპაუზა უფრო გვიან ეწყებათ. დედათა წესის ადრე შეწყვეტა შემჩნეულია აგრეთვე იმ ქალთა შორის, რომელთაც შინაგანი ორგანოების ქრონიკული დაავადებები აქვთ, ანდა არ გააჩნიათ ნორმალური ცხოვრების პირობები.

როგორია კლიმაქსის ხანგრძლიობა? სხვადასხვანაირი — რამდენიმე თვიდან დაწყებული 4-5 წლამდე და მეტიც. ზოგიერთ ქალს დედათა წესი უეცრად უწყდება. მაგრამ ასე იშვიათად ხდება. უმეტესად ქალს იგი „ერევა“ — ხან დაასწრებს, ხან დაუგვიანებს, დაგვიანება სულ უფროდაუფრო მატულობს და ბოლოს დედათა წესი წყდება.

მარტო დედათა წესის შეწყვეტაა კლიმაქსისთვის დამახასიათებელი? დედათა წესის შეწყვეტა დამოკიდებულია საკვერცხეების ფუნქციის შესუსტებაზე. ამ დროს წყდება საკვერცხე უჯრედების მომწიფება, კლებულობს ჰორმონების გამომუშავება. ამის შედეგად ხდება ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლების გარდაქმნა. ყოველივე ამას კი თან სდევს საერთო ცვლილებები ქალის ორგანიზმში. პირველ რიგში ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, ამიტომაა, რომ კლიმაქსის დროს ქალები ხშირად სუქდებიან.

ქალები უმეტესად ამ ასაკში არ ებრძვიან სიმსუქნეს, რადგანაც თვლიან, რომ წონაში მომატება სიბერითაა გამოწვეული, ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი.

ზოგი ქალი ამ პერიოდს შეუმჩნევლად, მსუბუქად იტანს. სავსებით შრომისუნარიანი რჩება, არ განიცდის არავითარ უსიამოვნო შეგრძნებებს. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არაა, ბევრი ქალი ამ პერიოდში უჩივის „სისხლის მოწოლას“, გრძნობს უეცარ შეხურებას, სახე და ყელი უწითლდება, ოფლიანობს, გული უჩქარდება. მაგრამ საშიში არაფერია. ესაა ანგიონერვოზული მოვლენები. მართალია, ყოველივე ეს არასასიამოვნოა, მაგრამ გრძელდება რამდენიმე წუთს, შემდეგ კი თავისთავად გაივლის და არავითარ მედიკამენტურ მკურნალობას არ საჭიროებს. თუ ქალი ამ უჩვეულო შეგრძნებებს ყურადღებას არ მიაქცევს, ზიანიც ნაკლები იქნება.

მხოლოდ ნერვულ ქალებში იწვევს ეს მოვლენები შიშის გრძნობას, მოუსვენრობას, გაღიზიანებას, ფსიქიურ უწონასწორობას. ასეთი ქალი ან აპატიურადაა განწყობილი ირგვლივ მყოფებისადმი, ან, პირიქით, ადვილად აღევზნება, ჯავრობს, ფიცხობს ახლობლებმა, განსაკუთრებით კი ქმარმა, კლიმაქსის პერიოდში ქალის ფსიქიურ მდგომარეობას ანგარიში უნდა გაუწიონ, ეცადონ შექმნან ოჯახში მშვიდი, მყუდრო გარემო, რაც ამ მოვლენების შემცირებასა და გაქრობას შეუწყობს ხელს.

კლიმაქსის პერიოდში ხანდახან გულში ჩნდება ტკივილები,— უფრო ხშირად ჩხვლეტის ხასიათისა, ხშირდება გულის ცემა, გულის „მილევის“გრძნობა, თავბრუსხვევა. ყველაფერი ეს ცხადად მეტყველებს, რომ კლიმაქსი დაგეწყოთ. მაგრამ ამ საკითხს დამოუკიდებლად ნუ გადაწყვეტთ. უკეთესია ექიმს მიმართოთ, რადგან შეიძლება კლიმაქსი გეგონოთ და სხვა დაავადება — ვთქვათ, ჰიპერტონია კი გამოგეპაროთ.

უკვე გვქონდა საუბარი კლიმაქსის პერიოდში ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და სიმსუქნის შესახებ. მსგავსი მოვლენები ნიკრისის ქარების განვითარებისასაც შეიმჩნევა. ზოგჯერ ამ პერიოდში პირველად ვლინდება დიაბეტის ნიშნები. თუ კლიმაქსის პერიოდში რაიმე ტკივილი გაგვიჩნდა, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ეს ტკივილი, საჭიროა მივმართოთ ექიმს, მხოლოდ მას შეუძლია მიიღოს სათანადო ზომები.

ვიმეორებთ: კლიმაქსი ნორმალური ფიზიოლოგიური მოვლენაა. ქალისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდ ცხოვრებას, იგი უნდა ასრულებდეს თავის ჩვეულებრივ სამუშაოს, არ უნდა თვლიდეს თავს ავადმყოფად, უნდა იცავდეს პირადი ჰიგიენის წესებს, რაც დაკავშირებულია კლიმაქსურ პერიოდთან.

თუ აქამდე დილით არ ვარჯიშობდით, — უნდა დაიწყოთ, ჯერ კიდევ არ არის გვიან. ვარჯიშის შემდეგ თავს უკეთესად, მხნედ იგრძნობთ. ვარჯიში განსაკუთრებით საჭიროა იმ ქალებისათვის, რომლებიც ფიზიკურ შრომას არ ეწევიან. ვარჯიში მათ ენერგიასა და ხალისს შემატებს და სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლაშიც დაეხმარება. უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება დიდ ხანს იყოთ სუფთა ჰაერზე, მეტად იმოძრაოთ. კარგად მოქმედებს წყლის პროცედურები. შეიძლება მიიღოთ თბილი აბაზანები, შხაპი, ტანი ჩაიზილოთ თბილ წყალში დასველებული პირსახოცით. წყლის ტემპერატურა 36-37 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. ყოველივე ეს დადებით ზეგავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე.

სიმსუქნისადმი მიდრეკილების მქონე ქალებმა უნდა დაიცვან დიეტა, მათი საკვები უმთავრესად რძის ნაწარმისა და ბოსტნეულისაგან უნდა შესდგებოდეს. უნდა მოერიდონ ისეთ საჭმელებს, რომლებიც ორგანიზმში ცხიმების დაგროვებას იწვევენ — ნამცხვარს, ტკბილეულს, ცხიმიან საჭმელებს, ხორცს, მწნილს, სანელებლებს, მდოგვს, წიწაკას და სხვ. აიკრძალონ ალკოჰოლიანი სასმელები. საკვებში დიდი რაოდენობით უნდა შედიოდეს უმი ბოსტნეული: სალათა, სტაფილო, ბოლოკი, კომბოსტო და ა. შ. ყოველდღიურად უნდა ჭამონ შავი პური, რითაც კლიმაქსისათვის დამახასიათებელ ყაბზობას შეუშლიან ხელს. მარგებელია: თევზი, მჭლე ხორცი. საკვები მდიდარი უნდა იყოს ვიტამინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საკვებში ვიტამინ C-ს არსებობას. ამ ვიტამინს ბლომად შეიცავს ასკილის, შავი მოცხარის ნაყოფი, ოხრახუში, კამა, ყვავილოვანი კომბოსტო, მწვანე ხახვი, ისპანახი.

სამკურნალო საშუალებები მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა მიიღოთ. თუ რაიმემ გაგაღიზიანათ, შეიძლება მიიღოთ ვალერიანის და ბრომის პრეპარატები. ახლა ვალერიანს აბების სახით ამზადებენ, რაც გაცილებით აადვილებს მის მიღებას. შეიძლება იხმაროთ აგრეთვე ვალერიანის ფესვები: 3-4 დანაყილ ვალერიანის ფესვს უნდა დაასხათ 250 მილილიტრი მდუღარე წყალი და 2 საათის განმავლობაში გააჩეროთ, მიღებული სითხე სვით 75 მილილიტრი (დაახლოებით $1/3$ ჩაის ჭიქა) — 3-ჯერ დღეში.

კარგ შედეგს იძლევა ისეთი პრეპარატები, როგორიცაა კლიმაქტერინი, აკლიმანი. მაგრამ დამამშვიდებელ საშუალებებთან ერთად ისინი შეიცავენ ჰორმონებსაც, ამიტომ მხოლოდ ექიმის ნებართვით უნდა მიიღოთ.

სამედიცინო პრაქტიკაში საკმაოდ ფართოდ შემოიჭრა ტრანკვილიზატორები, ანუ დამამშვიდებელი საშუალებები: ტრიოქსაზინი, ელენიუმი და სხვა პრეპარატები. კარგად მოქმედებს ბელოიდი, ბელასპონი. მაგრამ ამ წამლების ხმარებაც თვითნებურად არ შეიძლება.

მძიმედ მიმდინარე კლიმაქსის დროს ექიმს შეუძლია ჰორმონალურ თერაპიასაც მიმართოს, ესეც კარგ შედეგს იძლევა.

ამრიგად, დღესდღეობით საკმარისად მრავალფეროვანი პრეპარატები გაგვაჩნია, რომლებიც პათოლოგიურად მიმდინარე კლიმაქსის დროს იხმარება. კლიმაქსთან დაკავშირებული ყველა უსიამოვნო მოვლენა დროთა განმავლობაში გაივლის. ქალი კვლავ შრომისუნარიანი და ჯანმრთელი ხდება.

ლ. საბუროვა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მანანას ნახელავი



გულისპირამოჭრილ ქართულ კაბაში გამოწყობილი მშვენიერი დარბაისელი ქალი კედლიდან მიცქერის — ეს მანანა ორბელიანის პორტრეტია.

ტატო ბარათაშვილისდროინდელ თბილისს ჯერ კიდევ დაჰკრავდა აღმოსავლური იერი.

„ორბელიანთა აული“ — ასე ეწოდებოდა ძველი თბილისის ყაბახის მიდამოებს, რადგან ამ არემარეზე ოდითგანვე ორბელიანები ცხოვრობდნენ.

ქალაქის შუაგულს სიონის ტაძრის უბანი წარმოადგენდა. ნარიყალას კედლები, მეტეხის მრავალსაუკუნოვანი ტაძარი და კრწანისის უკვდავ გმირთა წმინდა აჩრდილები დღესაც ნათელ შთაბეჭდილებას ქმნიან ძველი თბილისის რომანტიკაზე.

1808 წელს, ქსნის ხეობის შეძლებულ თავადს მირმანოზ ერისთავს მეოთხე შვილი შეეძინა, რომელსაც მანანა დაარქვეს. მანანამ თავის დროისათვის შესაფერი განათლება მამისეულ ოჯახში მიიღო. ბავშვობიდანვე ეტრფოდა მანანა მწერლობასა და ხელოვნებას და ეს გატაცება სიკვდილამდე შემორჩა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში მანანა ერისთავი ცოლად გაჰყვა „სოვეტნიკს“ — დავით ორბელიანს, ამ პერიოდიდან იწყება მისი მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრება.

მანანას მეუღლეს დავით ორბელიანს უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა იმდროინდელ ლიტერატურულ წრეებთან. შემონახულია გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი მისი ერთი ბარათი, რომელიც 1829 წლის 2 სექტემბრით არის დათარიღებული.

1833 წელს მანანას მეუღლე გარდაეცვალა, დარჩა სამი შვილი: ივანე, ალექსანდრე და ტასო ორბელიანები. მეუღლის საფლავზე მანანა ორბელიანმა ფიცი დასდო, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გაუფრთხილდებოდა მეუღლის სახელსა და სიყვარულს, ეს ფიცი არც გაუტეხია.

მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე დები — ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეები და მანანა ორბელიანი, ეს განუყრელი სამეული, კდემამოსილებითა და სილამაზით მრავალთა შთაგონების წყაროდ გამხდარან. ერთხელ მანანა ანა ორბელიანთან ერთად ჭავჭავაძეების ოჯახს სტუმრად რომ სწვევია, ისე აღფრთოვანებია მასპინძელი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომ მას მანანასათვის ექსპრომტად მაჯამა მიუგებებია:

სვემ მიწვიმა მანანა,
მომივლინა მან ანა,
მას თან მოჰყვა მანანა,
მინანავა მან ნანა.

ეს ლექსი ხომ შემდეგ, სასიამოვნო მელოდიად მოეფინა მთელ საქართველოს. მას მღეროდნენ ტკბილი ქალაქური მოტივებით ჩონგურზე, გიტარასა და ფორტეპიანოზეც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული კულტურის მედროშის ტვირთი ერთხანს სალონებზე გადავიდა. იგი მაშინდელი მოწინავე პროგრესული ახალგაზრდობის, სამშობლოს ერთგული შვილების ნამდვილ ტაძრად გახდა. სალონთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი თბილისში მანანა ორბელიანის სალონს ეჭირა, სადაც ხშირად მსჯელობდნენ მრავალ მტკივნეულსა და საჭირბოროტო საკითხებზე. აქ დარდიმანდობდა, აქ ილხენდა, აქ კითხულობდა თავის საკაცობრიო ლექსებს ჭაბუკი ნიკოლოზ ბარათაშვილი, აქ ტიროდა იგი სულით ობლობასა და მარტოობას, გაცრუებულ იმედებს. აქ ხვდებოდნენ სიხარულით მის გამოჩენას... სწორედ აქ, ამ სალონში გამართულ ერთ-ერთ საღამოზე წამოაყენა მან იდეა „საქართველოს რიგიანი“ ისტორიის შედგენისა და ამ საშვილიშვილო საქმის შესრულება ცნობილ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს მიენდო.

მანანა ორბელიანის პირადი შეკვეთით თარგმნა დიმიტრი ყიფიანმა შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“, რასაც პიესის თავფურცლები გვაუწყებენ: „კნეინა მანანა ორბელიანისათვის ქართულსა ენაზე გადმოღებული ყიფიანის მიერ“.

ცნობილია, რომ უდროოდ დაქვრივებული მანანა ორბელიანი ქრისტეს მძიმე ჯვრის მსგავსად, დიდხანს ატარებდა ვერცხლის სამგლოვიარო ბეჭედს ასეთი წარწერით:

უდროვოდ მზის დასვლით მაბნელა
სოფელმან ანაზდეულად.

ამ წარწერამ და მანანას დალოცვილმა ეშხმა ბევრს აუძგერა გული, მათ შორის გრიგოლ ორბელიანსაც. პოეტი წლების განმავლობაში ემუდარებოდა მანანას გადაეცა მისთვის ეს ძვირფასი რელიქვია, მაგრამ ორბელიანის ახალგაზრდა ქვრივი ყოველთვის მტკიცე უარით ხვდებოდა გრიგოლის წინადადებას.

მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, მანანა ორბელიანი მე-19 საუკუნის საქართველოში ხელსაქმის ერთ-ერთ შესანიშნავ ოსტატად ითვლებოდა. ვინ მოსთვლის რამდენი გულისპირი, სარტყელი, თავსაკრავი, შეიდიში, ლეჩაქი, ქოშები, ქისა, წინდა, სამზითვო ჩასაწყობი და სხვა ამგვარი ნივთები დაუქარგავს მის მადლიან მარჯვენას, მისი ნახელავი ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა საქართველოში ყველა ქალისათვის. ისინი ამაყობდნენ მანანას ნახელავით. სად არ შეხვდებოდით მისი ხელსაქმის ნიმუშებს — საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში და საქართველოს გარეთაც.

150 წლის წინათ მანანასაგან გასაჩუქრებული აბანოს პერანგის გულისპირი დღეს ჩვენს ხელთაა, იგი სვანეთის მთავრის — მურზაყან დადეშქელიანის ასულს დურუხანს ეკუთვნოდა. დურუხანი საცოლედ ჰყავდა დანიშნული სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს (ეკატერინე ჭავჭავაძის შერთვამდე), სვანეთთან დამოყვრების მიზნით.

დურუხან დადეშქელიანისა და დავით დადიანის ცხოვრების გზები სხვადასხვაგვარად წარიმართა. იგი ცოლად გაჰყვა კახელ თავადს, კარდანახელ დავით აფხაზს, რომლისგანაც ერთადერთი შვილი ნინო შეეძინა. შემდეგ დურუხანისა და დავით აფხაზის შვილიშვილმა — დარო ვახვახიშვილ-ჩერქეზიშვილმა თავისი ბებიის ნაქონი, 150 წლის წინანდელი, მანანასაგან ნაჩუქარი აბანოს პერანგის გულისპირი, როგორც სახსოვარი, როგორც ხელოვნების ძვირფასი ნიმუში რელიქვიად ოჯახში შემოინახა.

ქიშმირის შალის მოყვითალო ფერის თხელ ქსოვილზე მანანას ხელს მაღალი გემოვნებითა და სინატიფით ამოუქარგავს ხავერდის ფერადი ძაფებითა და ვერცხლის სირმით შეხამებული აბანოს პერანგის გულისპირი, იგი გაცოცხლებულია ლამაზი ყვავილებითა და ქართული ორნამენტით.

ეთერ მაჭავარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარბარე ჯორჯაძისეული



ქართულ ოჯახებში, აქა-იქ დღესაც შეხვდებით ერთ საინტერესო წიგნს. ერთის მეხედვით, თითქოს აქ არაფერია უჩვეულო, სამზარეულო წიგნია, — მრავალი განყოფილებით, ნაირ-ნაირ რჩევა-დარიგებით, უხვად მოცემული რეცეპტებით ბოსტნეულზე, ხორცეულზე, ტკბილეულზე, წვნიანსა თუ შემწვარ-მოხრაკულზე... ამ წიგნით სარგებლობდნენ ჩვენი წინაპარი დიასახლისები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. სულ ორიოდეჯერ გამოიცა ეს სამზარეულო წიგნი, ჩვენს დროში კი აღარ გამოცემულა, მაგრამ გასული საუკუნისათვის, ეს პირველი მერცხალი ქართული კულინარიისა, ალბათ დიდი მისწრება იქნებოდა. თუნდაც იმიტომ, რომ წიგნში საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს ევროპულსა თუ აღმოსავლურ თავკერძებსაც.

ხელთა გვაქვს ეს წიგნი, და დიდის ინტერესით ვათვალიერებთ, ვათვალიერებთ როგორც პატარა ისტორიის ერთი პატარა უბნისა.

თავიდათავი ისაა, რომ ეს სამზარეულო წიგნი ჩვენმა სანაქებო წინაპარმა ქალმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ — ბარბარე ჯორჯაძემ გამოაქვეყნა, სწორედ იმ ბარბარე ჯორჯაძემ, გასული საუკუნის სამოციან წლებში ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკაში რომ იყო ჩაბმული, ივანე კერესელიძისეული „ცისკრის“ უახლესი თანამშრომელი რომ გახლდათ. თავის დროზე ბარბარე ჯორჯაძის ლექსებს, პიესებსა თუ წერილებს საკმაო რეზონანსი ჰქონდა. თავადაც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქართველი მწერლობის ოჯახში. ბარბარე ჯორჯაძეს პატარობიდანვე იზიდავდა თურმე ხელსაქმე, მეოჯახეობა. 12 წლისა გამოთხოვდა იგი ქისტაურელი ერისთავების ოჯახიდან (ბარბარე რაფიელ ერისთავის და იყო) გრემში ზაქარია ჯორჯაძეზე. შინაურ სწავლას დატანებული ქალი, ჩანს კარგი მეოჯახეც დადგა. აბა სხვანაირად როგორ გაუძლვებოდა დიდ კერიას? და აი, ბარბარემ გადაწყვიტა თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვისთვისაც გაეზიარებინა. ამის შედეგი იყო სწორედ მისი მეტად პოპულარული სამზარეულო წიგნი.

დღეს ეს წიგნი იშვიათად გვხვდება. რედაქცია ჟურნალის ამ ნომერში მკითხველებს თავაზობს რამდენიმე რეცეპტს. სტილი უცვლელადაა გადმოტანილი. ზოგმა გამოთქმამ ან სახელწოდებამ შეიძლება ღიმილიც მოგგვაროთ, მაგრამ ეს იქნება კეთილი ღიმილი.

## რუსული ბლინები

**შენიშვნა რუსულ ბლინებზე.** ყველიერის კვირაში რუსების სუფრაზე უმრავლესი ადგილი უჭირავს ბლინებს. ბლინები კეთდება სხვადასხვა მასალით, მხოლოდ ცხვება კი ყველა ერთნაირად.

ბლინის ცომი რომ ამოვა, გამოცხობის წინ არ უნდა ამოურიოთ, რომ ცომი არ დავარდეს და ისევ გაფუებული იყოს. ვინიცობაა ბლინების გამოსაცხობი ცომი სქელი მოვიდა, მაშინ სხვა ჭურჭელში უნდა გადააკლოთ. სამი-ოთხი კოვზი გახსნათ რძით ან წყლით და მერე შეურიოთ ფრთხილად დანარჩენ ცომში. ცომი ბლინებისათვის მზადდება ზოგი ხაშით (დროჟით), ზოგიც სოდით, ბლინების გამოსაცხობათ საჭიროა პატარ-პატარა შავი თუჯის მრგვალი ტაფები. ბლინების გამოცხობის წინ ტაფა არასოდეს წყლით არ უნდა მორეცხოთ, თორემ გამოცხობის დროს ცომი მიეკვრის ტაფას და გაგაწვალებთ; ტაფას, ახალი იქნება თუ ძველი სულერთია, წაუსვით ცოტა ქონი ან ერბო, დადგით ფეჩზე და ძლიერ გაახურეთ, რომ მარილი შეწითლდეს. შემდეგ გადმოდგით, რომ შეგრილდეს, სქელი თეთრი ქაღალდით მოუსვით ტაფას თავისივე მარილი და ის მოაშორებს თუ რამე ჟანგი ან ჭუჭყი ექნება. მერე ხელმეორეთ დააყარეთ ზედ მარილი და კიდევ მოწმინდეთ ჯერ ქაღალდით, მერე სუფთა ტილოთი და ტაფა მზად იქნება.

გამოცხობის წინ ტაფას ფრთით უნდა წაუსვათ ერბო, შემდეგ დაასხათ კოვზით ცომი. თავი რომ შეუშრება ცომს მოასხურეთ ფრთითვე ცოტა ერბო და დანით გადააბრუნეთ მეორე მხარეზე, მეორე მხარეც რომ დაებრაწოს, გადმოიღეთ საინზე, გადააფარეთ სუფთა ტილო და ისე დადგით, რომ არ გაცივდეს. ბლინებს ყოველთვის მირთმევის წინ უნდა გამოცხობა, რომ არ გაცივდეს. გამომცხვარი ბლინები ნაზი და ნასვრეტებიანი უნდა გამოვიდეს.

ბლინებთან მიართმევენ საერთოდ გამდნარ კარაქს, სმეტანას, დაფხვნილ ყველს, ხიზილალას ან რაიმე თევზეულს: სელიოდკას ან სათალს.

**ხმელი ხაში ანუ დროჟი,** რითაც ბლინის ცომი უნდა მოამზადოთ, ნახევარი საათით ბლინის ცომის დაყენების წინ უნდა დაალბოთ ნახევარჭიქა წყალში და შემდეგ ისე დამბალი აურიოთ ცომში. თუ ბლინს 5 ან 6 საათის წინ დააყენებთ, მაშინ 4 ჭიქა ფქვილზე — 3 ან 4 მისხალი ხაში დასჭირდება, თუ ბლინი უფრო ადრე იქნეს საჭირო, მაშინ 4 ჭიქა ფქვილზე — 6 მისხალი დროჟი უნდა. ბლინების გასაკეთებელ ფქვილს ცხელი წყალი ან რძე უნდა დაესხას და არა მდუღარე, თუ წყალი ან რძე მდუღარე იქნა, მაშინ ცომი მოხარშული გამოვა და არ ივარგებს. ბლინის გასაკეთებლად კვერცხის გული ცალკე უნდა გათქვიფოთ და ისე აურიოთ ცომში. ცილაც ცალკე უნდა გაითქვიფოს და ცომი რომ პირველად ამოვა, მაშინ აერიოს შიგ, ამით ბლინი დასვრეტილი და ნაზი გამოვა.

ბ ლ ი ნ ი პ უ რ ი ს ფ ქ ვ ი ლ ი ს ა. გახსენით ცომი ოთხი ჭიქა თბილი რძით, ორჭიქანახევარი ფქვილით, 6 მისხალი ხმელი ხაშით და ერთი კოვზი ერბოთი. როცა ცომი ამოვა, კარგად დაზილეთ, უყავით ერთი კოვზი მარილი, ორი კვერცხის გული, გათქვეფილი ერთ კოვზ შაქარში, ორი ჭიქა ფქვილი, კარგად დაზილეთ, მიუმატეთ ორი კარგად გათქვეფილი კვერცხის ცილა, ნახევარი ჭიქა ნაღები, ხელმეორედ კარგად აურიეთ და გააჩერეთ, სანამ აფუვდებოდეს, როცა აფუვდება გამოაცხეთ.

**მასალად საჭიროა:**

ფქვილი — ოთხნახევარი ჭიქა,
ხმელი ხაში — ექვსი მისხალი,
რძე — ოთხი ჭიქა,
კვერცხი — ორი,
შაქარი — ერთი კოვზი,
მარილი — ერთი კოვზი,
კარაქი — ერთი კოვზი,
ნაღები — ნახევარი ჭიქა,
ერბო ტაფისათვის — ერთი ჭიქა.

ბ ლ ი ნ ი  ს ა უ კ ე თ ე ს ო. გახსენით ნახევარი ჭიქა ბურღულის ფქვილი ჭიქანახევარი რძით ან წყლით, დაასხით ზედ სამი ჭიქა ცხელი რძე და კარგად აურიეთ. როცა ეს ცომი შეგრილდება, უყავით ხუთი მისხალი ხმელი ხაში, გახსნილი ნახევარ ჭიქა რძეში და დადგით თბილ ადგილას; როცა ცომი აფუვდება, კარგად გაზილეთ, მიუყარეთ სამი ჭიქა პურის ფქვილი, მიუმატეთ რვა კვერცხის გული, სამი კოვზი გამდნარი კარაქი ან ერბო, რვა გათქვეფილი კვერცხის ცილა, ერთი კოვზი მარილი და ორჭიქანახევარი რძე, დადგით თბილ ალაგს და შემდეგ გამოაცხეთ.

**მასალად საჭიროა:**

ბურღულის ფქვილი — სამი ჭიქა,
რძე — შვიდჭიქანახევარი,
ხმელი ხაში — ხუთი მისხალი,
პურის ფქვილი — სამი ჭიქა,
მარილი — ერთი კოვზი,
კვერცხი — რვა,
ერბო ან კარაქი — სამი კოვზი,
ერბო ტაფისათვის — ერთი ჭიქა.

ბ ლ ი ნ ე ბ ი  ს ო დ ი თ. ეს ბლინი იმითი არის კარგი, რომ ყოველ წამს შეიძლება გაკეთდეს. აიღეთ ერთი გირვანქა ბურღულის ფქვილი და ერთი გირვანქა პურის ფქვილი, გახსენით ხუთი ჭიქა თბილი წყლით და კარგად დაზილეთ. როდესაც ტაფა მზად იქნება შესაწვავად, აიღეთ ერთი კოვზი სოდა და გახსენით ნახევარ ჭიქა ცივ წყალში. მეორე ნახევარ ჭიქა წყალში გახსენით ერთი კოვზი სიმჟავე და ორივე ერთად აურიეთ ცომში. მაშინვე დაიწყეთ ბლინების ცხობა, რომ ცომი არ დავარდეს; რაც მეტი ტაფა გექნებათ ბლინის გამოსაცხობად, მით უფრო მალე გამოაცხობთ ამ ბლინებს და კარგია.

**მასალად საჭიროა:**

ბურღულის ფქვილი — ერთი გირვანქა,
პურის ფქვილი — ერთი გირვანქა,
სოდა — ერთი კოვზი,
სიმჟავე — ერთი კოვზი,
მარილი — ერთი კოვზი,
ერბო ტაფისათვის — ერთი ჭიქა.

# საქონელი და საფუთი

შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ წმინდანების სია დიდი ხნის წინ შეივსო. გასულ წელს თაყვანსაცემ ობიექტებს შორის ფრიად შესამჩნევი ფიგურა გამოჩნდა. ახალი წინასწარმეტყველი ვუნდერკინდი გახლავთ. ის 1 მეტრისა და 35 სანტიმეტრის სიმაღლისაა, 85 კილოგრამს იწონის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იგი ჯერ მხოლოდ 15 წლის ვაჟია, უნდა ვიფიქროთ, რომ მას აქვს ყველა შანსი გაბარიტებში კიდევ მოიმატოს. მაგრამ იგი წონით როდია სახელგანთქმული. მის სახელს — ველიოგეშვარ პარამ ჰანს სატგურუდევ შრი სანტ ჯი მახარაჯს — აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებში გაბნეული ექვსი მილიონი თაყვანისმცემელი (ციფრი თვით წმინდანმა მოგვაწოდა) წაუბორძიკებლად წარმოთქვამს. იგი დაიბადა ოჯახში, რომელმაც „წმინდანთა“ რამოდენიმე თაობა მოგვცა. მართალია, მღვდელმსახურებას ისინი ზრდადამთავრებულები იწყებდნენ, მაგრამ პარამ ჰანსმა (შეგვინდოს უფალმა ეს შემოკლება.) მათ გადააჭარბა: მან სტარტი მეტად ადრე აიღო. მსჯელობა ოფიციალური ბიოგრაფიის საფუძველზე შეიძლება: „ორნახევარი წლისამ წარმოთქვა თავისი პირველი სიტყვა ღმერთის შეცნობის გამო“.

„მე გამეხსნა უმაღლესი ჭეშმარიტება“ — ამტკიცებს გათქვირებული გურუ. საინტერესოა, როგორ? „იცხოვრეთ ისე, როგორც გეცხოვრებათ“, — ბრძნულად ხსნის ბიჭუნა. კადნიერი შეკითხვა: როგორ ეცხოვრება თვით ჭაბუკ მასწავლებელს? მადლიერი მიმდევრების ფულით ლონდონის მახლობლად მისთვის მამული შეიძინეს. „მე მათთვის არაფერი მითხოვია — აზუსტებს წმინდანი გურუ. — თვითონ მაძლევენ“.

ერთადერთი ნივთი, რომელიც მასწავლებელმა თავისი ნაოფლარით შეიძინა, ორი სათამაშო წყლის პისტოლეტია. ისინი ძალიანართობენ წმინდანს მოცალეობის ჟამს. მას ძალიან უყვარს აგრეთვე ფილმები სისხლისმსმელ ვამპირზე და გაცოცხლებულ მიცვალებულებზე. მაგრამ კინოში მისი შესვლა შეუძლებელია — როგორც კი გამოჩნდება ლონდონის ქუჩებში ყვავილებით მორთული მისი „როლს-როისი“, მას ყოველი მხრიდან შემოეხვევიან ქომაგები, თაყვანისმცემლები, მიმდევრები. პირდაპირ გზას არ აძლევენ. მართალია, ავტომობილი ძალიან შესამჩნევია: წინ, რადიატორზე ყვავილებით გამოყვანილია „უფალი“ — თავმდაბლურად, მაგრამ გემოვნებით, არა?

უკვე შედგა ყრმა-წინასწარმეტყველის რამდენიმე „სპირიტუალისტური ტურნე“ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში. იგი გამოდიოდა დარბაზებში, რომელთა სცენები „უბრალოდ“ იყო მორთული: 25-ჯერ გადიდებული გურუს ფოტოსურათები, მის ქვემოდ მრავალფერი ცისარტყელა და სამეფო ტახტი. ტახტზე — გურუ. ვუნდერკინდი აინუნშიც არ აგდებს ყურისწამღებ ტაშისცემას. იგი ფიქრობს. გადის ნახევარი საათი, სანამ ის ხმას ამოიღებს. ათეულობით მიკროფონს კარგად გადააქვს დარბაზში სიბრძნის ყოველი მისხალი. ბგერა, მართალია, ღვთიური არ არის: მისი ხმა ჯერჯერობით ჩამოუყალიბებელია. მაგრამ ლაპალუპით მოსდით ცრემლები წვეროსან ვაჟებს და ნორჩ გოგონებს (შეკრებილთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან).

— თქვენ მოხვედით, ჩვენდა სასმენად. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ვართ ორი ფეხითა და ორი თვალით. მაგრამ ჩვენ გასწავლით სრულქმნილებას. და ამიტომ ჩვენ სრულქმნილების მასწავლებელს გვიწოდებენ.

და ა. შ. და ა. შ.

ყრმა გურუ, რა თქმა უნდა, უკანასკნელი სიახლე არ გახლავთ ცრუმორწმუნეობათა ძველ ბაზარზე. უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც მისი ალსარებები მოყირჭდებათ, გამოჩნდება ვილაც ახალი. რეკლამის სპეციალისტებმა ხომ იციან, რომ საქონლის გასაღება პირველ რიგში იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის შეფუთული. შესაფუთავს კი გამონახავენ...

„პარი-მატჩი“,
პარიზი.


გარეკანის პირველ გვერდზე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ ი ნ ა თ ი ნ  წ ე რ ე თ ე ლ ი; მეოთხე გვერდზე — კაბის გულისპირი, ამოქარგული მანანა ორბელიანის მიერ.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 20/XII-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/I-75 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 120670 შეკვ. 4564 უე 01748 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „სოფლის კონცერტი" ტიციანისაა და არა ჯორჯონესი

ლუვრში (პარიზი) გამოფენილმა მსოფლიოს ერთ-ერთმა შედევრთაგანმა, ჯორჯონეს „სოფლის კონცერტმა" ეტიკეტი შეიცვალა. მას მიეწერა ტიციანი.

ავტორის შეცვლა პარიზის მუზეუმის დირექციის გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა, რაც მოჰყვა ამ საქმის სპეციალისტთა მრავალტომიან გამოკვლევებსა და ხანგრძლივ კვლევას; დიდი ყოყმანისა და კამათის შემდეგ საბოლოოდ დადგინდა ავტორი: ტიციანი.

თავიდან ეს ტილო ჯორჯონეს მიაკუთვნეს. პირველად ამის საწინააღმდეგო აზრი 1835 წელს გამოთქვა ერთმა გერმანელმა ისტორიკოსმა. მას შემდეგ მიმდინარეობს კვლევა, შესწავლა და ექსპერტიზები. ერთხანს ასეთი ჰიპოთეზაც იყო, რომ სურათი ჯორჯონემ დაიწყო და ტიციანმა დაამთავრა.

ამჟამად ეს დავა გადაწყვეტილია და ავტორი საბოლოოდ დადგენილია; ამაში სპეციალისტებს დიდად დაეხმარათ პადუაში შემორჩენილი ტიციანისეული ფრესკების შესწავლა.

გაზ. „უნიტა".

ИНДЕКС 76178
ეროვნული ბიბლიოთეკა

